პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკის ორგანო

№ 295 (5096) | კვირა, 26 დეკემბერი 1937 წ. | ფასი 10 კაპ.

„ეგრე მტრისა არ მეშინის, რადგან ცხადად მაწყინარობს,
მოყვარესა—მტერსა ვუფრთხი, მემოყვრება, მოცინარობს"

რუსთაველი

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პირველი სესია

1938 წლის 12 იანვარს იხსნება სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს — სოციალიზმის ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს — პირველი სესია. ეს დიდი მოვლენაა!

სსრ კავშირის უზენაესი საბჭო ერთსულოვნად არჩეულია მთელი საბჭოთა ხალხის მიერ. ეს არის მსოფლიოში ერთადერთი პარლამენტი მშრომელებისა, პარლამენტი, რომელიც ხალხის ინტერესთა ნამდვილ გამომხატველს წარმოადგენს. სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დეპუტატები არიან საბჭოთა ხალხის საუკეთესო შვილები, აღჭურვილნი მისი მაღალი ნდობით. უზენაესი საბჭოს 1143 დეპუტატი—569 კავშირის საბჭოსი და 574 ეროვნებათა საბჭოსი—ესენი არიან ხალხის მსახურნი, მის მიერ წარგზავნილნი საბჭოთა ხელისუფლების უზენაეს ორგანოში. 90 მილიონამდე მუშამ, გლეხმა, წითელარმიელმა, ინტელიგენტმა თავიანთი ხმები მისცეს უზენაესი საბჭოს დეპუტატებს, კომუნისტებისა და უპარტიოების უძლეველი სტალინური ბლოკის კანდიდატებს.

1937 წლის 12 დეკემბერს 90 მილიონმა მშრომელმა სსრ კავშირის უზენაეს საბჭოს ჩააბარეს უდიდესი რწმუნება —უხელმძღვანელოს მსოფლიოში პირველ სოციალიზმის ქვეყანას, უხელმძღვანელოს ისე, როგორც ამას გვასწავლის **ლენინ-სტალინის** პარტია, როგორც ამას მოითხოვს სტალინური ცენტრალური კომიტეტი. ათეულ მილიონობით ამომრჩეველთა ეს განაწესი თვითეული დეპუტატისათვის უმაღლესი კანონია.

სტალინურმა კონსტიტუციამ დაამყარა ურღვევი წესი, რომლის მიხედვითაც საკანონმდებლო ძალაუფლებას ანხორციელებს მხოლოდ და მხოლოდ სსრ კავშირის უზენაესი საბჭო. ამით ერთხელ კიდევ ესმება ხაზი ჩვენს ქვეყანაში კანონის, როგორც მთელი საბჭოთა კავშირის მშრომელთა უზენაესი ნება-სურვილის განხორციელების, მნიშვნელობას. სსრ კავშირში არ არის და არც შეიძლება იყოს საოლქო, სამხარეო, სარაიონო კანონები ანუ, როგორც **ლენინი** სწერდა, კანონიერება არ შეიძლება იყოს კალუგური და ყაზანური, არამედ უნდა იყოს ერთიანი მთელი საბჭოთა ქვეყნისათვის. საკანონმდებლო უფლების მხოლოდ და მხოლოდ უზენაესი საბჭოსათვის მიკუთვნება ასახავს ჩვენი კანონების სტაბილობის პოლიტიკას, რომელსაც ატარებენ პარტია და მთავრობა.

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს მოღვაწეობა მოიცავს სახელმწიფო, სამეურნეო და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს: მან წინ უნდა წასწიოს სახალხო მეურნეობა, რათა უმოკლეს ისტორიულ ვადებში ჩვენმა სოციალისტურმა ეკონომიკამ ყველა მაჩვენებლების მიხედვით დაიკავოს მსოფლიოში პირველი ადგილი; მან უნდა აამაღლოს ჩვენი ქვეყნის კულტურა, რათა ამ ფრონტზედაც სოციალიზმმა სრული გამარჯვება მოიპოვოს; მან ყოველმხრივ უნდა განამტკიცოს თავდაცვა ჩვენი სამშობლოსი გარეშე მტრებისაგან და კაპიტალისტური გარემოცვის აგენტთაგან, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში შემოიპარებიან ხოლმე; მან უნდა უზრუნველჰყოს ქალაქისა და სოფლის ყველა მშრომელთა საარსებო დონის შემდგომი, კიდევ უფრო სწრაფი აღმავლობა. უზენაესი საბჭოს მოღვაწეობის ასეთი პროგრამა ნაკარნახევია ხალხის მიერ, იგი შეესაბამება ხალხის ინტერესებს, ხოლო უზენაეს საბჭოს არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს სხვა ინტერესები, გარდა ხალხის ინტერესებისა.

უზენაესი საბჭო შესდგება ორი პალატისაგან — კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოსაგან. ორივე პალატა თანასწორუფლებიანია.

ევროპისა და ამერიკის ზოგიერთ ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა პარლამენტებიც ორი პალატისაგან შესდგებიან. მაგრამ პალატებს შორის არსად არ არის თანასწორობა. ბურჟუაზიულ ქვეყნებში, როგორც ცნობილია, მეორე პალატას აძლევენ მეტ უფლებებს, ვიდრე პირველს, და შემდეგ, როგორც წესი, მეორე პალატა იქმნება არადემოკრატიული გზით, მისი წევრების ხშირად ზემოდან დანიშვნის გზით. ჩვენ ვიცით, რომ კაპიტალისტურ ქვეყნებში ორპალატიანმა სისტემამ მხოლოდ უარყოფითი შედეგები გამოიღო, რომ მეორე პალატა იქ ჩვეულებრივ გადავარდება ხოლმე რეაქციის ცენტრად, რომელიც აფერხებს ყოველგვარ პროგრესსა და წინსვლას. ასეთია ლორდთა პალატის საქმე ინგლისში, სენატისა საფრანგეთში და სხვა ამგვარი დაწესებულებებისა, რომლებსაც „სახალხო" წარმომადგენლობას უწოდებენ.

სულ სხვა აზრი, სხვა მნიშვნელობა აქვს საბჭოთა პარლამენტის ორპალატიან სისტემას. ამხანაგმა **სტალინმა**, როდესაც მოახსენებდა საბჭოების სრულიად-საკავშირო საგანგებო VIII ყრილობას სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის შესახებ, განსაკუთრებით განმარტა სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს ორპალატიანი სისტემის აუცილებლობა.

„საბჭოთა კავშირი, როგორც ცნობილია, არის მრავალეროვანი სახელმწიფო. ჩვენ გვაქვს უზენაესი ორგანო, სადაც წარმოდგენილია საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელის საერთო ინტერესები დამოუკიდებლად მათი ეროვნებისა. ეს არის კავშირის საბჭო. მაგრამ საბჭოთა კავშირის ეროვნებებს საერთო ინტერესებს გარდა აქვთ კიდევ **თავისი განსაკუთრებული, სპეციფიკური** ინტერესები, რომლებიც დაკავშირებული არიან მათს ნაციონალური თავისებურებებთან. შეიძლება თუ არა ამ სპეციფიკური ინტერესების უგულებელყოფა? არა, არ შეიძლება. საჭიროა თუ არა სპეციალური უზენაესი ორგანო, რომელიც სწორედ ამ სპეციფიკურ ინტერესებს ასახავდეს? უთუოდ საჭიროა. არავითარი ეჭვი არაა, რომ ასეთი ორგანოს გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ისეთი მრავალეროვანი სახელმწიფოს მართვა, როგორიცაა საბჭოთა კავშირი. ასეთ ორგანოს წარმოადგენს მეორე პალატა, სსრ კავშირის ეროვნებათა საბჭო".

უზენაესი საბჭოს არჩევნები გახდა ტრიუმფი ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკისა, რომელსაც განუხრელად ატარებენ ბოლშევიკთა პარტია და საბჭოთა მთავრობა. ამაზე მეტყველებენ საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკაში არჩევნებზე გამოცხადებისა და კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებისათვის ხმის მიცემის ციფრები, ამას მოწმობს პარტიისა და მთავრობის უთვალსაჩინოეს ხელმძღვანელთა ერთსულოვნად არჩევა სხვადასხვა ნაციონალური რესპუბლიკების მშრომელების მიერ. ამხანაგი კაგანოვიჩი არჩეულია უზენაესი საბჭოს დეპუტატად ტაშკენტში, ამხანაგი ვოროშილოვი — მინსკში, ამხანაგი ანდრეევი — აშხაბადში, ამხანაგი მიქოიანი — ერევანში. რას მოწმობს ეს?

მრავალეროვანი საბჭოთა კავშირი, სადაც თვითეული ხალხისათვის შექმნილია ბედნიერებისა და კეთილდღეობის პირობები, წარმოადგენს ერთიან მძლავრ, მონოლიტურ სახელმწიფოებრივ ორგანიზმს, რომლის მოქალაქენი, დამოუკიდებლად ეროვნებისა თუ ენისა, შემჭიდროებული არიან **ლენინ-სტალინის** პარტიის გარშემო, მისი სტალინური ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო.

უზენაესი საბჭოს არჩევნებმა მთელ მსოფლიოს უჩვენა სსრ კავშირის ხალხთა ძმური ოჯახის დიადი მეგობრობა, მათი ურთიერთ ნდობა. ვერავინ და ვერასოდეს ვერ შესძლებს შეარყიოს ეს მეგობრობა, ეს ნდობა, რომელიც იშვა და განმტკიცდა ოქტომბრის დიდი რევოლუციის ცეცხლსა და ქარიშხლებში, სამოქალაქო ომისა და სოციალიზმის მშენებლობის ფრონტებზე! ეს მეგობრობა, ეს ურთიერთ ნდობა გრანიტის კლდეა, რომელზეც დაიმსხვრევა ომის ფაშისტ გამჩაღებელთა და მათი აგენტების — ტროცკისტულ-ბუხარინულ და ბურჟუაზიულ - ნაციონალისტურ უწმინდურთა ყველა ფანდი.

საბჭოთა ხალხი უზენაეს საბჭოში თავის არჩეულთ დიდ მოთხოვნებს უყენებს. ამ მოთხოვნებზე ილაპარაკა ამხანაგმა **სტალინმა** სტალინის ოლქის ამომრჩეველთა კრებაზე.

საბჭოთა ხალხის დეპუტატები უნდა რჩებოდნენ თავიანთი ამოცანების სიმაღლეზე, არ უნდა ეშვებოდნენ პოლიტიკურ ობივატელთა დონემდე. ისინი უნდა იყვნენ ლენინურ-სტალინური ტიპის პოლიტიკური მოღვაწენი, ბრძოლაში ლენინურად, სტალინურად უშიშარნი, მტრისადმი ულმობელნი, რთული სახელმწიფოებრივი საკითხების გადაწყვეტაში ბრძენნი და აუჩქარებელნი, მართალნი და პატიოსანნი, მათ უნდა უყვარდეთ თავისი ხალხი, როგორც **ლენინს და სტალინს.**

„შეხედეთ რომელიც უნდა იყოს პარლამენტულ ქვეყანას, — სწერდა **ვ. ი. ლენინი,** — ამერიკიდან შვეიცარიამდე, საფრანგეთიდან ინგლისამდე, ნორვეგიამდე და სხ.: ნამდვილ „სახელმწიფოებრივ" მუშაობას კულისებში აკეთებენ და ასრულებენ დეპარტამენტები, კანცელარიები, შტაბები. პარლამენტებში მხოლოდ ლაყბობენ სპეციალური მიზნით —მოატყუონ „მდაბიო ხალხი".

მუშათა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფოსათვის უცხოა ასეთი „წარმომადგენლობითი" ორგანოები. ჩვენი უზენაესი საბჭო, კაპიტალისტური პარლამენტებისაგან განსხვავებით — მომუშავე დაწესებულებაა და არა „სალაყბო". სსრ კავშირის უზენაესი საბჭო, ჩვენი ქვეყნის — დიადი, მძლავრი სოციალისტური სახელმწიფოს — ბატონ-პატრონი, **ლენინ-სტალინის** პარტიის მითითებათა განუხრელად დაცვით, წაიყვანს სსრ კავშირის ხალხებს კომუნიზმის ახალ-ახალი გამარჯვებებისაკენ.

„პრავდის" მოწინავე, 23/XII

სსრკ საბჭოთა მწერლების კავშირის V პლენუმი, მიძღვნილი ქართველი ხალხის გენიალური პოეტის შოთა რუსთაველის მიერ უკვდავი პოემის დაწერის 750 წლისთავისადმი

პლენუმის პრეზიდიუმში

ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის დიადი ზეიმი

რუსთაველის სახელობის ორდენოსანი დრამატული თეატრის ფასადი სადღესასწაულოდ არის მორთული.

შესავალთან აღმართულია პროლეტარული რევოლუციის ბელადების — ლენინისა და სტალინის პორტრეტები, ქართველი ხალხის უკვდავი პოეტის შოთა რუსთაველის მარმარილოს სკულპტურის მაკეტი, მძლავრი პროჟექტორების ელვარე სხივებით განათებულნი.

თეატრის დარბაზი, რომელშიც 24 დეკემბერს გაიხსნა სსრკ საბჭოთა მწერლების კავშირის საზეიმო მეხუთე პლენუმი, მხატვრულად არის გაფორმებული.

თეატრის იარუსებს შემოვლებული აქვთ წითელი ტილოები ლოზუნგებით ქართულ და რუსულ ენებზე. ერთერთ მათგანზე წარწერილია დიდი ილიჩის დაუვიწყარი სიტყვები:

„მხოლოდ კაცობრიობის მთელი განვითარებით შექმნილი კულტურის ზუსტი ცოდნით, მხოლოდ მისი გადამუშავებით არის შესაძლებელი პროლეტარული კულტურის შენება —ასეთი გაგების გარეშე ჩვენ ამ ამოცანას ვერ გადავჭრით". (ლენინი).

სცენას ამშვენებენ უზარმაზარი მხატვრული პანოები—პოემა „ვეფხის-ტყაოსნის" ილუსტრაციები. სიღრმეში მოსჩანან **პროლეტარული** რევოლუციის დიდი გენიოსების — ლენინისა და სტალინის პორტრეტები, გენიალური ქართველი პოეტის შოთა რუსთაველის პორტრეტი.

სცენის თავზე გაშლილია ლოზუნგი-მისალმება:

„მხურვალე ბოლშევიკური სალამი საბჭოთა მწერლებს—ადამიანის სულის ინჟინრებს!".

თეატრი ხალხით არის გაჭედილი. მისი პარტერი და ლოჟები უკავიათ თერთმეტი მოკავშირე რესპუბლიკის ადამიანის სულის ინჟინრებს, ხელოვნებათა მუშაკებს, თბილისის საწარმოთა სტახანოველებს, მოძმე რესპუბლიკათა დელეგატებს, საქართველოს პარტიული, საბჭოთა და პროფკავშირული საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს.

დამსწრეთა შორის არიან: საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. **ლ. პ. ბერია,** საქართველოს სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. **გ. მ. ბაქრაძე,** საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივნები ამხ. **ვ. ცხოვრებაშვილი და ს. მამულოვი,** ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდალი ამხ. **ნ. კუიბიშევი,** საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პარტიული პროპაგანდის, აგიტაციისა და ბეჭდვითი სიტყვის განყოფილების გამგე ამხ. **პ. შარია,** თბილისის საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის ამსრულებელი ამხ. **მ. გვიშიანი,** საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის კულტურისა და განათლების განყოფილების გამგე, საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის თავმჯდომარე ამხ. **კ. ჩარკვიანი** და სხვ.

7 საათსა და 30 წუთზე სსრკ საბჭოთა მწერლების მეხუთე პლენუმს, მიძღვნილს საქართველოს გენიალური პოეტის შოთა რუსთაველის უკვდავი პოემის „ვეფხის-ტყაოსნის" 750 წლისთავისადმი, გახსნილად აცხადებს სსრკ საბჭოთა მწერლების კავშირის პასუხისმგებელი მდივანი ამხ. **სტავსკი.**

მისი მკვეთრი სიტყვა არაერთხელ იქნა შეწყვეტილი მქუხარე ტაშით, ოვაციითა და შეძახილებით ქართულ, რუსულ, სომხურ, აზერბეიჯანულ, უკრაინულ, ებრაულ, ირანულ და სხვა ენებზე ხალხთა საყვარელი ბელადის ამხანაგ **სტალინისა** და მისი მებრძოლი თანამოსაგრეების პატივსაცემად, დიდი რუსი ხალხის, მზიური საქართველოს ხალხის პატივსაცემად.

— ჩვენს პლენუმს,—სთქვა ამხ. სტავსკიმ,—ვხსნით აქ, თბილისში, ქართველი ხალხის დედაქალაქში, იმ ხალხის დედაქალაქში, რომელმაც მისცა ჩვენს სამშობლოს, კაცობრიობას გენიოსი და ბელადი ამხანაგი სტალინი.

გაუმარჯოს ქართველ ხალხს!

გაუმარჯოს დიადი საბჭოთა კავშირის ხალხებს!

ამხ. სტავსკის უკანასკნელი სიტყვები იფარება მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით. ყველანი ფეხზე დგებიან. ყოველი მხრიდან გაისმის მისასალმებელი შეძახილები: „გაუმარჯოს დიდ სტალინს!" „გაუმარჯოს ხალხთა სტალინურ მეგობრობას!" ოვაცია ახალი სიძლიერით იფეთქებს. დიდხანს არ სცხრება შეძახილები: „ურა", „ვაშა".

ბელორუსიის, საქართველოს, მოსკოვის, ლენინგრადისა და აზერბეიჯანის დელეგაციათა სახელით ამხ. მ. ლინკოვი ასახელებს საქმიანი პრეზიდიუმის შემადგენლობას.

მქუხარე ტაშით პრეზიდიუმში არჩეულ იქნა 35 კაცი: ამხ. ვ. ბაქრაძე, ვ. ცხოვრებაშვილი, პ. შარია, ნ. კუიბიშევი, კ. ჩარკვიანი, შ. დადიანი, ა. მაშაშვილი, ს. ჩიქოვანი, დ. ქიაჩელი, ს. შანშიაშვილი, ს. ეული, ვ. სტავსკი, გ. ლახუტი, ა. ფადეევი, ვს. ვიშნევსკი, ა. სერაფიმოვიჩი, დემიან ბედნი, თ. პანფეროვი, პ. პავლენკო, ლ. ლეონოვი, კ. ფედინი, ი. ლუპოლი, თ. გლადკოვი, ა. სურკოვი, მარიეტა შაგინიანი, პეტრო პანჩი, ნოვიკოვ-პრიბოი, ტიჩინა, მიკოლა ბაჟანი, ნ. ტიხონოვი, იანკო კუპალა, ალი-მამედოვი, ჯამბული, გუსეინოვი და პროფ. შიშმარიოვი.

უკრაინელი მწერლის მიკოლა ბაჟანის წინადადებით, რომელიც გამოვიდა უკრაინის, ლენინგრადისა და უზბეკეთის დელეგაციათა სახელით, პლენუმმა აირჩია საპატიო პრეზიდიუმი.

სტალინი...

იფეთქებს ხანგრძლივი ტაში, რომელიც მძლავრ ოვაციაში გადადის. შეკრებილნი, სიყვარულისა და ერთგულების ერთიანი გრძნობით გამსჭვალულნი, ფეხზე მდგომნი მქუხარედ უკრავენ ტაშს იმას, ვინც უზრუნველჰყო სოციალიზმის გამარჯვება ჩვენს თვალუწვდენელ ქვეყანაში, ვინც შეჰქმნა მსოფლიოში პირველი ყველაზე დემოკრატიული სტალინური კონსტიტუცია, ვინც შეჰქმნა მძლავრი საბჭოთა კავშირის ხალხთა ურღვევი მეგობრობა და უზრუნველჰყო სოციალისტური კულტურის აყვავება— ტაშს უკრავენ ხალხთა დიდ ბელადს ამხანაგ **სტალინს.**

ოვაცია სულ უფროდაუფრო ძლიერდება. ყოველი მხრიდან საბჭოთა კავშირის ყველა ენაზე გაისმის შეძახილები:

—გაუმარჯოს სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის შემოქმედს ამხანაგ **სტალინს!** გაუმარჯოს ლენინ-სტალინის დიად პარტიას!

მქუხარე ტაშით, ფეხზე ადგომით ხვდება დარბაზი დიდი სტალინის ერთგული თანამებრძოლებისა და მოწაფეების — ამხანაგების **მოლოტოვის, ვოროშილოვის, კაგანოვიჩის, კალინინის, ანდრეევის, მიქოიანის, ჩუბარის, კოსიორის, ჟდანოვის, ეჟოვის, დიმიტროვის, ტელმანის, ხოზე დიასის, ლ. ბერიას** სახელებს, რომლებსაც საპატიო პრეზიდიუმში ირჩევენ.

ორდენოსანი საქართველოს საბჭოთა მწერლების, ხელოვნების მუშაკებისა და სტუდენტთა ახალგაზრდობის სახელით მკვეთრი და მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ ამხანაგები: მწერალი ბესო ჟღენტი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი ორდენოსანი დავითაშვილი და სტუდენტი-ქალი ორდენოსანი ელენე გოკიელი.

გულთბილი ერთსულოვანი ტაშით შეხვდნენ ორდენოსანი მწერლის ა. ს. სერაფიმოვიჩის საპასუხო მისასალმებელ სიტყვას.

— ნება მომეცით მადლობა გადაგიხადოთ გულთბილი მეგობრული მიღებისათვის, — სთქვა მან.—ნება მომეცით მივესალმო საქართველოს, თქვენს საუცხოო ნათელ, მხიარულ ქვეყანას და მის მოსახლე ხალხებს (ტაში).

მან წარმოშვა უშესანიშნავესი პოეტი — გენიალური პოემის „ვეფხის-ტყაოსნის" შემოქმედი — შოთა რუსთაველი.

საქართველომ წარმოშვა პროლეტარიატის, მსოფლიოს ყველა მშრომელისა და ჩაგრული ხალხის მსოფლიო ბელადი — დიდი საყვარელი სტალინი. (მქუხარე ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან, ორკესტრი ასრულებს „ინტერნაციონალს").

ჩვენ აღმოვჩნდით მფლობელნი უდიდესი შენობისა — სოციალისტური კავშირისა, სადაც ჩვენ ყველანი ერთმანეთთან დაკავშირებული ვართ უმტკიცესი სტალინური მეგობრობით.

ვინ შეჰქმნა ხალხთა ეს მეგობრობა? ჩვენმა კომუნისტურმა პარტიამ და მისმა დიდმა ბელადებმა ლენინმა და სტალინმა. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას და მის ბელადს დიდ **სტალინს!**

გაუმარჯოს საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელს ამხანაგ **ლავრენტი ბერიას!**

მძლავრი „ურა", „ვაშა" ჰფარავს მხურვალე სიყვარულითა და ერთგულებით აღსავსე სიტყვებს, მიმართულს მთელი მსოფლიოს მშრომელთა საყვარელი მასწავლებლისა და მეგობრისადმი — **დიდი სტალინისადმი.**

სსრკ მწერალთა კავშირის საიუბილეო პლენუმი გადაიქცა ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის დიად ზეიმად.

საზეიმო ნაწილი დამთავრებულია. ტრიბუნაზეა ამხ. პავლე ინგოროყვა. მთელი დარბაზი დიდი ყურადღებითა და ინტერესით ისმენს შინაარსიან მოხსენებას—**„რუსთაველი და მისი პოემა".**

* * *

პლენუმის პირველი სხდომის დასასრულს, მისი მონაწილეებისათვის გაიმართა კონცერტი მრავალფეროვანი პროგრამით, რომელიც შეასრულეს რესპუბლიკის საუკეთესო არტისტებმა. საქართველოს სახკინმრეწვმა მოახდინა საბჭოთა მწერლების პლენუმის სინქრონული (ხმოვანი) გადაღება.

ამხ. სტავსკის სიტყვა

ამხანაგებო! დღეს საბჭოთა მწერლები, საბჭოთა კავშირის მთელი ხალხი ზეიმობს შოთა რუსთაველის გენიალური პოემის „ვეფხის-ტყაოსნის" დაწერას დროიდან 750 წლის შესრულებას **(ტაში).**

საბჭოთა კავშირის ხალხთა მწერლების პირველი სიტყვა — ეს არის ქართველი ხალხისადმი ძმური მისალმების, გულითადი მისალმების სიტყვა. **(მქუხარე ტაში. ყველა ფეხზე დგება).**

სად, კაცობრიობის ისტორიის რომელ საუკუნეში, რომელ ქვეყანაში იყო შესაძლებელი ასეთი დღესასწაული? იგი შესაძლებელია მხოლოდ მძლავრ საბჭოთა კავშირში, სადაც პუშკინი გადათარგმნილია 82 ენაზე, სადაც გორკი გადათარგმნილია 48 ენაზე, სადაც ხალხი ყველა კულტურული ღირებულების მემკვიდრეა.

ეს დღესასწაული შესაძლებელი გახდა სოციალიზმის იმ უდიდეს გამარჯვებათა შედეგად, რომლებიც ჩვენი ხალხის ძალთა გმირული დაძაბვით არის მოპოვებული ლენინ-სტალინის პარტიის, ჩვენი დიდი ბელადის, მშობლიური **სტალინის** ხელმძღვანელობით. **(მქუხარე ტაში, რომელიც გადადის ოვაციაში. „ინტერნაციონალი". შეძახილები ადგილებიდან რუსულ, ქართულ, აზერბეიჯანულ, უკრაინულ, ბელორუსულ, სომხურ, ებრაულ და სხვა ენებზე: „გაუმარჯოს ჩვენს დიდ და მშობლიურ ამხანაგ სტალინს!", „საბჭოთა კავშირის პირველ დეპუტატს — ვაშა!", „გაუმარჯოს ყველა მშრომელის დიდ ბელადს — იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს!").**

ჩვენ გვახარებს სოციალიზმის გამარჯვებანი, ვამაყობთ ჩვენი სოციალისტური ინდუსტრიით, ჩვენი სოციალისტური საბჭოთა მეურნეობებითა და კოლმეურნეობებით, რომლებიც ჩვენი კავშირის მშრომელთა ხელითაა შექმნილი.

ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ ჩვენს სკოლებში სწავლობს 38 მილიონი კაცი; 1941 წელს ჩვენ გვეყოლება 8 მილიონი ახალი ინჟინერი და ტექნიკოსი. ჩვენში 111 ენაზე გამოდის წიგნები **(ტაში).**

ჩვენ ვხარობთ და ვამაყობთ ჩვენი წითელი არმიით, რომელმაც გაანადგურა ყველა თეთრგვარდიელი, ყველა ინტერვენტი. **(მქუხარე ხანგრძლივი ტაში. შეძახილები: „გაუმარჯოს ჩვენს დიად წითელ არმიას. ვაშა!", „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის პირველ მარშალს ამხანაგ ვოროშილოვს!").**

ჩვენ ვხარობთ და ვამაყობთ ჩვენი სახელოვანი ჩეკისტებით და მათი ხელმძღვანელი სტალინური სახკომით ამხანაგ ეჟოვით. **(მქუხარე ტაში. ყველა ფეხზე დგება. შეძახილები: „გაუმარჯოს ამხანაგ ეჟოვს. ვაშა!").** მათ გაანადგურეს საზიზღარი უწმინდურები, ტროცკისტ - ბუხარინელი ჯაშუშები, დაქირავებული ფაშისტი მკვლელები და დივერსანტები, საბჭოთა კავშირის მშრომელთა მოსისხლე მტრები. ეჭვი არ არის, რომ ჩვენი სახელოვანი ჩეკისტები მიაგნებენ ყველა მტერს, სადაც არ უნდა იყვნენ ისინი შემძვრალნი, მათ რიცხვში ლიტერატურაშიც, როგორადაც უნდა იმალებოდნენ ისინი. ისინი მიაკვლევენ ყველა მტერს, ეყრდნობიან რა საბჭოთა კავშირის ხალხის სიყვარულსა და მხარდაჭერას, ხალხისა, რომელსაც დიდმა **სტალინმა** მისცა მძლავრი იარაღი — რევოლუციური სიფხიზლე.

ჩვენ გვახარებს, ვამაყობთ და თვალის ჩინივით ვუფრთხილდებით ხალხთა მეგობრობას, რასაც ამხანაგი **სტალინი** გვასწავლიდა და გვასწავლის.

ძმურ სალამს ვუგზავნით ჩვენ უკრაინის სოციალისტურ რესპუბლიკას, რომელიც დღეს თავის სახელოვან 20 წლისთავს ზეიმობს. **(მქუხარე ტაში. ყველა ფეხზე დგება. შეძახილები ქართულ ენაზე: „გაუმარჯოს საბჭოთა უკრაინას!").**

ჩვენ ვხარობთ და ვამაყობთ პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მიერ გამოზრდილი გმირებით, სახელოვანი ადამიანებით—ჩვენი მფრინავებით, ქალაქისა და სოფლის სტახანოველებით, სწავლულებით, მეცნიერებისა და ხელოვნების მოღვაწეებით. ახალი ადამიანები—ეს ერთერთი უმნიშვნელოვანესი გამარჯვებაა.

ნათელი და ბედნიერი ცხოვრებისათვის ბრძოლის ისტორიის ერთერთ უბრწყინვალეს ფურცელს წარმოადგენს სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნები. 12 დეკემბერს კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა. 90 მილიონზე მეტი ხმა მისცეს ამომრჩევლებმა ლენინ-სტალინის პარტიის საუკეთესო შვილებს, ჩვენი აყვავებული სამშობლოს საუკეთესო ადამიანებს.

არ არის ცხოვრებისა და მშენებლობას ისეთი დარგი, სადაც უდიდესი გამარჯვებანი არ იყოს მოპოვებული. ამავე დროს კაპიტალისტური სამყარო ძრწის, ფაშიზმი ფეხქვეშ სთელავს ადამიანის ღირსებას, ანგრევს კულტურას, ამზადებს ახალ ომებს. ესპანელი და ჩინელი ხალხი გმირულად იცავს თავის ქვეყნებს ფაშისტ ბარბაროსთა შემოსევისაგან, იბრძვის თავისუფალი ბედნიერი ცხოვრებისათვის. ამ გმირ ხალხებს და მათს კომუნისტურ პარტიებს — ჩვენი სიმპატიები და რაც შეიძლება მალე გამარჯვების სურვილი. **(ტაში. „ინტერნაციონალი").**

მთელი სიმტკიცით ვუთხრათ ჩვენს თავს, რომ უდიდესი პასუხისმგებლობა გვაწევს, პასუხისმგებლობა მთელი კაცობრიობის ბედ-იღბლისათვის, რადგან ჩვენ — სსრ კავშირი — კაცობრიობის მოწინავე ბრიგადა ვართ.

ეს ნიშნავს, რომ ჩვენ კიდევ უფრო მჭიდროდ უნდა დავირაზმოთ ლენინ-სტალინის პარტიის ირგვლივ, კიდევ უფრო ორგანიზებული უნდა ვიყოთ კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკში, კიდევ უფრო უნდა განვამტკიცოთ სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა, კიდევ უფრო მეტად უნდა დავეუფლოთ მთელი კაცობრიობის კულტურულ მემკვიდრეობას.

დღევანდელი ზეიმი — ეს მთელი საბჭოთა ხალხის ზეიმია.

რუსთაველი, რომელიც უმღერის სიმამაცეს, მეგობრობასა და ერთგულებას საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ყოფაცხოვრებაში, სიყვარულში, ძვირფასი და ახლობელია ჩვენთვის. მისი ქმნილება არა მარტო წარსულის კულტურული ძეგლია. მისი პოეზიის საუცხოო სტრიქონები გულში სიმამაცეს გვინერგავენ, საუკეთესო გრძნობებს გვიღვიძებენ. მისი სტრიქონები დღესაც სასიკვდილოდ უგმირავენ გულს მტრებს.

გავიხსენოთ გულში ჩამწვდომი სტრიქონები:

„ჰხამს მოყვარე მოყვრისათვის
თავი ჭირსა არ დამრიდად,
გული მისცეს გულისათვის,
სიყვარული გზად და ხიდად".

ან კიდევ მეორე:

„მოყვარე მტერი ყოვლისა
მტრისაგან უფრო მტერია".

რუსთაველი ახლობელი და საყვარელია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ხალხებისათვის. „ვეფხის-ტყაოსანი" მთლიანად არის გადათარგმნილი 4 ენაზე — აზერბეიჯანულ, სომხურ, უკრაინულ და რუსულ ენაზე.

დასასრული იხ. მე-2 გვ.

სსრკ საბჭოთა მწერლების კავშირის V პლენუმი

ამხ. სტავსკის სიტყვა
(დასასრული)

გარდა ამისა, პოემის ბევრი თავი გადათარგმნილია 12 ენაზე: აფხაზურ, ბაშკირულ, ბელორუსულ, ყაზახურ, ყალმუხურ, კუმიკურ, ოსურ, ტაჯიკურ, თათრულ, თურქმენულ და უზბეკურ ენაზე.

ამ მნიშვნელოვანი მუშაობის დიდი ნაწილი შეასრულეს ჩვენმა საბჭოთა პოეტებმა, რომლებიც ამ მუშაობას განაგრძობენ და თვითონაც იზრდებიან.

საბჭოთა მხატვრებისათვის შოთა რუსთაველი მუდამ ცოცხალია, მისი სიტყვები პირდაპირ გულს სწვდება:

„შაირობა პირველადვე
სიბრძნისაა ერთი დარგი,
საღმრთო საღმრთოდ გასაგონი,
მსმენელთათვის დიდი მარგი,
კვლა აქაცა იამების, ვინცა
ისმენს კაცი ვარგი,
გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის,
შაირია ამად კარგი".

გავიხსენოთ კიდევ შოთა რუსთაველის სიტყვები, მისი საბრძოლო პოეტური პროგრამა, რომელსაც ჩვენც მთლიანად ვღებულობთ:

„მესამე ლექსი კარგი არს
სანადიმოდ, სამღერელად,
სააშიკოდ, სალაღობოდ,
ამხანაგთა სათრეველად,
ჩვენ მათიცა გვეამების, რაცა
ოდენ თქვან ნათელად.
მოშაირე არა ჰქვიან, ვერას
იტყვის ვინცა გრძელად".

საბჭოთა კავშირის ამხანაგო მწერლებო, ვიყოთ ჯეროვან სიმაღლეზე! ვიყოთ ამ უდიდესი ნდობის ღირსნი, რომელსაც იჩენს ჩვენს მიმართ ჩვენი პარტია, ჩვენი ხალხი. ვიმუშაოთ ისე, როგორც მუშაობენ ჩვენი ქვეყნის მოწინავე ადამიანები, როგორც ჩვენი მშობლიური ამხანაგი სტალინი გვასწავლიდა და გვასწავლის მუშაობას (**მქუხარე, ხანგრძლივი ტაში**).

კიდევ უფრო მტკიცედ დავრაზმოთ ჩვენი რიგები პარტიის ირგვლივ, გავაძლიეროთ ჩვენი ბრძოლისუნარიანობა.

მთელი ჩვენი სიცოცხლე და მთელი ფიქრი შევწიროთ ლენინ-სტალინის საქმეს, კომუნიზმის საქმეს. ჩვენი ნაწარმოებებით ვიბრძოლოთ კომუნიზმისათვის.

ჩვენს პლენუმს ვხსნით აქ, თბილისში, ქართველი ხალხის დედაქალაქში, იმ ხალხის, რომელმაც ჩვენს სამშობლოს, კაცობრიობას მისცა გენიოსი და ბელადი ამხანაგი **სტალინი (მქუხარე ტაში, რომელიც ოვაციაში გადადის. ყველა ფეხზე დგება, „ინტერნაციონალი". ყოველი მხრიდან გაისმის შეძახილები საბჭოთა კავშირის ხალხთა ენებზე. „გაუმარჯოს ჩვენს საყვარელ ბელადს და მასწავლებელს ამხანაგ სტალინს!", „გაუმარჯოს დიად რუს ხალხს!").**

გაუმარჯოს ქართველ ხალხს!

გაუმარჯოს დიდი საბჭოთა კავშირის ხალხებს!

გაუმარჯოს ლენინ-სტალინის პარტიას და მის ბელადს საყვარელ **სტალინს!** (ოვაცია რამდენიმე წუთს გრძელდება. ორკესტრი ასრულებს **„ინტერნაციონალს". ქართულ, რუსულ, უკრაინულ, აზერბეიჯანულ, სომხურ, ბელორუსულ, ებრაულ და სხვა ენებზე გაისმის შეძახილები: „გაუმარჯოს ჩვენს ბელადს — საყვარელ სტალინს!", „გაუმარჯოს ხალხთა სტალინურ მეგობრობას!", „გაუმარჯოს საქართველოს ბოლშევიკების მებრძოლ ხელმძღვანელს — ლავრენტი ბერიას!", „დეე, ჰყვავდეს და განმტკიცდეს მოძმე რესპუბლიკების ლიტერატურა!", „ვაშა!", „ურა!").**

მწერალთა დელეგაციის ერთი ჯგუფი თბილისის ვაგზალზე. მარცხნიდან-მარჯვნივ: პერეც მარკაში, ლეონიდ სობოლევი, ჩაჩიკოვი. ზევით ილია სელვინსკი.
ფოტო რ. აკოფოვისა

რესპუბლიკის სახალხო არტისტის ამხ. გ. დავითაშვილის სიტყვიდან

ამხანაგებო!

საქართველოს ხელოვნების მუშაკთა სახელით ნება მიბოძეთ მხურვალე საბრძოლო ბოლშევიკური სალამი გადმოგცეთ თქვენ, ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს პოეტებსა და მწერლებს. (ტაში).

ჩვენი დიადი სამშობლოს ბედნიერი ხალხები, რომლებმაც **ლენინ-სტალინის** დიადი პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით დედამიწის ერთ მეექვსედზე ააშენეს სოციალიზმის უძლეველი ქვეყანა, სიხარულით დღესასწაულობენ მხატვრული სიტყვის უდიდესი ოსტატის, გენიალური ქართველი პოეტის — შოთა რუსთაველის პოემის „ვეფხის-ტყაოსნის" 750 წლისთავს.

ქართველმა ხალხმა, რომელმაც წარსულში განიცადა გალატაკება და ომები, სისხლიანი (ცარიზმის და უბადრუკ მენშევიკთა ბატონობის დროს ჩაგვრა და უუფლებობა, მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს ბოლშევიკთა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, გენიალური სტალინის ბრძნული ხელმძღვანელობით მიაღწია თავის ნამდვილ აღორძინებასა და უმაგალითო აყვავებას.

უკანასკნელ დროს ჩვენ განვიცადეთ უჩვეულო და სასიხარულო დღეები: დიდი ოქტომბრის რევოლუციის 20 წლისთავი, სტალინური კონსტიტუციის წლისთავი, კონსტიტუციისა, რომელიც მთელს კაცობრიობას უსახავს ბედნიერი, საამური ცხოვრების გზას, 12 დეკემბერს — სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების დღე და, ბოლოს, დღევანდელი დღე—გენიალური პოეტის შოთა რუსთაველის ხსოვნისადმი მიძღვნილი საყოველთაო - სახალხო დღესასწაულის დღე.

დიდი და ძლიერია მრავალეროვანი საბჭოთა ხალხი, მან სამუდამოდ მოიშორა წარსულის მძიმე ბორკილები და ხალხის ვერავითარი საზიზღარი მტრები ვერ შეაჩერებენ ამ გიგანტურ ძლევამოსილ წინსვლას. ეს ხალხი თავისი იდეებისათვის, კომუნიზმის გამარჯვებისათვის გააცამტვერებს, თავის გზაზე გასრესს ყველა იმათ, ვინც გაბედავს აღმართოს ხელი ოქტომბრის მონაპოვრების წინააღმდეგ, რომლებიც ოქროს ასოებით არის ჩაწერილი სტალინურ კონსტიტუციაში (ტაში).

მძლავრი საბჭოთა ხალხის 170 მილიონ გულში მზესავით ბრწყინავს ჩვენი მშობლიური, ჩვენი საყვარელი დიდი **სტალინის** ბრძენი, სიხარულის მომგვრელი სახე. (**მქუხარე ხანგრძლივი ტაში, „ინტერნაციონალი"**).

გაუმარჯოს სსრ კავშირის ხალხთა ურღვევ სტალინურ მეგობრობას. (**მქუხარე ტაში**).

გაუმარჯოს ჩვენი საამური ცხოვრების შემოქმედს, ხალხთა საყვარელ ბელადს დიდ **სტალინს! (მქუხარე ხანგრძლივი ტაში, ორკესტრი ასრულებს „ინტერნაციონალს").**

გაუმარჯოს ნაცად სტალინელს, საქართველოს ბოლშევიკთა ურყევ ხელმძღვანელს, ჩვენს საყვარელ ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას! (**ხანგრძლივი ტაში**).

ორდენოსან ამხ. ე. გოკიელის სიტყვიდან

ამხანაგებო! როდესაც შოთა რუსთაველის პოემას ვკითხულობთ, ჩვენ ვგრძნობთ, თუ როგორ მოგვმართავს საუკუნეების სიღრმიდან უკვდავი პოემის „ვეფხის-ტყაოსნის" შემოქმედის ხმა, გენიალური შოთა რუსთაველის ხმა. ჩვენ, მზიური ორდენოსანი საქართველოს ბედნიერი ახალგაზრდობა მოგესალმებით თქვენ, საბჭოთა მწერლებს, და თქვენი სახით დიად საბჭოთა კავშირს. (**მქუხარე ტაში**).

საბჭოთა ხელისუფლებამ დიდი **სტალინის** ბრძნული ხელმძღვანელობით ბედნიერი, საამური ცხოვრება შეუქმნა საბჭოთა ქვეყნის ყველა ხალხს, რომლებიც მეგობრულად და ძმურად ცხოვრობენ.

მეგობრობა, ძმობა, გმირობა, რომლებსაც გენიალური შოთა რუსთაველი უმღერდა, ახლობელი და გასაგებია ჩვენთვის, ბედნიერი საბჭოთა ახალგაზრდობისათვის.

როგორც ჰომეროსი არის ელადა, დანტე—იტალია, შექსპირი—ინგლისი, ისე შოთა რუსთაველი არის საქართველო.

მაგრამ წინანდელმა საქართველომ — ფეოდალურმა საქართველომ, ეკლესიის მსახურთა და თავად-აზნაურობის წრეების სახით, თავისი საზღვრებიდან განდევნა თავისი საუკეთესო შვილი. მე-18 საუკუნეში ანტონ კათალიკოსის ბრძანებით მტკვარში გადააგდეს პოემა „ვეფხის-ტყაოსანი", ის პოემა, რომელმაც რამდენიმე საუკუნით გაუსწრო დასავლეთ ევროპის რენესანსს.

მაგრამ გასხივოსნებული რუსთაველი ცოცხლობდა ადამიანთა მეხსიერებაში, ხალხის ოცნებაში, მშობლიური ქვეყნის ხალხურ სიმღერაში. მის მიერ შექმნილმა სახეებმა საუკუნეებს გაუძლეს და განაგრძობენ ბრწყინვას, როგორც მსოფლიო პოეზიის მაღალი ნიმუში.

ხალხი, რუსეთის დიდი ხალხი, რომელმაც 1917 წლის ოქტომბერში, ლენინ-სტალინის დიადი პარტიის ხელმძღვანელობით აიღო ძალა-უფლება, დღეს ქართველ ხალხთან და მთელი საბჭოთა კავშირის ხალხებთან ერთად დღესასწაულობს შოთა რუსთაველის გენიალური ქმნილების 750 წლის იუბილეს.

გაუმარჯოს დიდ **სტალინს**, რომლის ხელმძღვანელობით ძმურ თანამშრომლობაში ჰყვავიან საბჭოთა კავშირის რესპუბლიკები და ზღაპრული ტემპით იზრდება ფორმით ნაციონალური, შინაარსით სოციალისტური კულტურა.

გაუმარჯოს შეუდრეკელ ბოლშევიკს, დიდი სტალინის ერთგულ მოწაფეს, ქართველი ხალხის საყვარელ შვილს, ჩვენს ძვირფას ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას! (**მქუხარე ტაში. შეძახილები: „გაუმარჯოს დიდ სტალინს!"**).

ამხ. ბ. ქლენტის სიტყვიდან

ამხანაგებო!

უკვდავი ქართული პოემის „ვეფხის ტყაოსნის" დაწერის 750 წლისთავის საყოველთაო-სახალხო დღესასწაულის ამ სასიხარულო, საზეიმო დღეს მე დავალებული მაქვს მოგესალმოთ თქვენ საქართველოს საბჭოთა მწერლების სახელით. (ტაში).

ქართული კულტურის უდიდეს დღესასწაულს — რუსთაველის იუბილეს — ჩვენ ვატარებთ იმ უდიდესი მსოფლიო-ისტორიული მოვლენების შემდეგ, რომლებსაც უკანასკნელ დროს ჰქონდა ადგილი ჩვენს ქვეყანაში.

ერთი თვის წინათ მძლავრმა საბჭოთა ხალხმა იდღესასწაულა დიდი სოციალისტური რევოლუციის 20 წლისთავი, ხოლო 12 დეკემბერს ჩვენმა თვალუწვდენელმა სამშობლომ ძლევამოსილად ჩაატარა მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს უზენაესი ორგანოს მსოფლიოში პირველი ნამდვილი დემოკრატიული არჩევნები. (მქუხარე ტაში).

მხოლოდ ჩვენ მიერ სოციალისტური რევოლუციის ოცი გმირული წლის მანძილზე მიღწეულ განუზომელ გამარჯვებათა და მონაპოვართა საფუძველზე, მხოლოდ სტალინური კონსტიტუციის კაშკაშა მზით განათებულ ქვეყანაში გახდა შესაძლებელი რუსთაველის იუბილეს ასეთი ფართო გაქანება, რაც წარმოადგენს ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის ნამდვილ ტრიუმფს, დიადი და ურღვევი სტალინური მეგობრობის მძლავრ დემონსტრაციას. (მქუხარე ტაში).

საუკუნეების სიღრმიდან რუსთაველის პოემა დიდებულად შემოდის ჩვენს ნათელ თანამედროვეობაში არა მარტო როგორც შესანიშნავი ისტორიულ-ლიტერატურული ძეგლი, არა მარტო როგორც პოეტური შემოქმედების დღემდე მიუწვდომელი ნიმუში, არამედ როგორც ცოცხალი ქმედი პოეტური ქმნილება, რომელიც აღანთებს ჩვენს გულს მუდმივი მისწრაფებით სიმართლისა და თავისუფლების გამარჯვებისაკენ, და რომელიც გვინერგავს სიმამაცისა და გმირობის სულს.

შვიდნახევარი საუკუნის წინათ, შუა-საუკუნეების შავბნელ ეპოქაში რუსთაველმა გაუსწრო რა თავისი ეპოქის ლიტერატურისა და აზროვნების დონეს, შორს გასცილდა რა მისი წარმომშობი კლასის ინტერესებისა და მსოფლმხედველობის ფარგლებს, შექმნა უკვდავი ნაწარმოები, რომელიც ამსხვრევს რელიგიური დოგმატიკისა და ფანატიზმის ბორკილებს.

ამ პოემას, როგორც ადამიანის გრძნობებისა და აზრების თავისუფლებისაკენ მისწრაფების მძლავრ გამოხატულებას, სდევნიდნენ და ავიწროებდნენ ყველა დროის შავბნელი, რეაქციული ძალები, მას სწვავდნენ და სპობდნენ კლერიკალურ-ფეოდალური ბნელეთის მოციქულები, მას თავს ესხმოდნენ ქართველი ხალხის თავისუფლებისა და ბედნიერების ყველა მტერი, ყველა დროის დამპყრობელნი.

მათი შავბნელი საქმეების განმგრძობნი აღმოჩნდნენ საზიზღარი გადაგვარებულნი, ხალხის მტრები, კონტრრევოლუციური ტროცკიზმის გამომჟღავნებული და განადგურებული ქართველი ნაბოლარები, რომლებიც ცდილობდნენ გამოეგლიჯათ გამარჯვებული პროლეტარიატის ხელიდან წარსული კულტურის ეს უდიდესი ძეგლი.

ხალხმა უსაზღვროდ შეიყვარა რუსთაველის ქმნილება, სიყვარულის, მეგობრობის, გმირობის ეს შთამაგონებელი ჰიმნი. ხალხმა შეინარჩუნა და დაიცვა „ვეფხის-ტყაოსანი" ყველა რეაქციული ძალის თავდასხმისაგან და ახლა ძლევამოსილი საბჭოთა ხალხი, რომელსაც ლენინ-სტალინის დიადი უძლეველი პარტია ხელმძღვანელობს, კულტურული მემკვიდრეობის ამ უძვირფასეს განძს მოსავს სიყვარულისა და ძალის უმაგალითო შარავანდედით.

მხოლოდ გამარჯვებული სოციალიზმის ეპოქაში აჟღერდნენ ჩვენი დიადი სამშობლოს ყველა ხალხის ენაზე რუსთაველის ბრძნული ლექსები. სტალინის ეპოქას რუსთაველის ბრწყინვალე სახელი გამოაქვს ფართო საერთაშორისო ასპარეზზე და სამართლიანად აყენებს მას მსოფლიო პოეზიის უდიდესი მწვერვალების — უკვდავი ჰომეროსის, ფირდოუსის, დანტეს, გოეთეს, პუშკინისა და შევჩენკოს რიგებში. (ტაში).

სსრკ საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის რუსთაველის სახელობის მეხუთე პლენუმი, რომელმაც ახლა დაიწყო თავისი მუშაობა, შესანიშნავ თარიღად შევა სოციალისტური კულტურის მშენებლობის ისტორიაში. იგი მჭერმეტყველურად მოწმობს, რომ ჩვენს ქვეყანაში თვითეული ნაციონალური კულტურის ყველა საუკეთესო განძი ნამდვილად გადაიქცა საბჭოთა კავშირის ყველა მოძმე ხალხის საკუთრებად.

საქართველოს საბჭოთა მწერლები განუზომელი სიყვარულითა და სიხარულით ხვდებიან მოძმე ხალხების ლიტერატურათა სახელოვან წარმომადგენლებს, რომლებიც ამ პლენუმზე ჩამოვიდნენ. ჩვენ ბედნიერი ვართ გითხრათ და გიამბოთ თქვენ, ძვირფასო ამხანაგებო თუ რა უდიდეს გამარჯვებებსა და წარმატებებს მიაღწია სოციალისტური რევოლუციის წლებში საბჭოთა საქართველომ მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგში. (ტაში).

რუსეთის თვითმპყრობელობის წინათ ჩაგრული და დამონებული კოლონია—საქართველო გადაიქცა საბჭოთა კავშირის ერთერთ აყვავებულ მოწინავე რესპუბლიკად.

ყოველივე ეს მიღწეულია იმის შედეგად, რომ მშრომელი ქართველი ხალხი მედგრად და გაბედულად მიდის სახელოვანი ლენინურ - სტალინური გზით, რომ ქართველი ხალხის ბრძოლას ხელმძღვანელობს საქართველოს ბოლშევიკთა რკინის რაზმი, დიდი **სტალინის** მიერ აღზრდილი, რომელსაც სათავეში უდგას ურყევი სტალინელი, ქართველი ხალხის ერთგული შვილი და სახელოვანი ხელმძღვანელი ამხანაგი **ლავრენტი ბერია. („ვაშას" ძახილი, ყველანი ფეხზე დგებიან, ტაში, ორკესტრი ასრულებს „ინტერნაციონალს").**

ამხანაგებო, მივესალმებით რა ამ პლენუმის დელეგატებს, საქართველოს საბჭოთა მწერლები პირველ რიგში თავიანთ მხურვალე გულწრფელ სალამს უძღვნიან გმირი ხალხის, დევგმირი ხალხის, დიადი სახელოვანი რუსი ხალხის მწერლებს. (**მქუხარე ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან. ორკესტრი ასრულებს „ინტერნაციონალს"**). რუსეთის ხალხი, რომელმაც გაამდიდრა მთელი კაცობრიობა დიდი **ლენინის** გენიით, რომელმაც პირველი გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა კაპიტალის ბატონობას და სათავეში ჩაუდგა ბრძოლას ჩვენი სამშობლოს ყველა ხალხის განთავისუფლებისათვის, იწვევს დიად საბჭოთა კავშირში მოსახლე ყველა ხალხის უსაზღვრო სიყვარულს.

ამხანაგებო, მივესალმებით რა რუს საბჭოთა მწერლებს, ჩვენ არ შეგვიძლია არ გავიხსენოთ დიდი რუსი მწერლის, ჩვენი ქვეყნის პირველი პროლეტარული მწერლის, ჩვენი სამშობლოს ყველა ხალხის მწერალთა შემოქმედებითი ერთიანობისათვის დაუღალავი მებრძოლის — ალექსი მაქსიმეს-ძე **გორკის** ნათელი სახელი. (**ტაში, ყველანი ფეხზე დგებიან**).

ჩვენ არ შეგვიძლია უდიდესი სიყვარულით არ გავიხსენოთ ჩვენს ქართულ მიწა-წყალზე დაბადებულის, საბჭოთა ეპოქის საუკეთესო, უნიჭიერესი პოეტის ვლადიმერ **მაიაკოვსკის** სახელი. (**ყველანი ფეხზე დგებიან. ტაში**).

განსაკუთრებული სიხარულისა და აღფრთოვანების გრძნობით მივესალმებით ჩვენ დიადი უკრაინელი ხალხის სახელოვან პოეტებსა და მწერლებს. სწორედ ახლა ჩვენი ქვეყანა საყოველთაო-სახალხო ზეიმით დღესასწაულობს უკრაინაში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების სახელოვან 20 წლისთავს. (**მქუხარე ხანგრძლივი ტაში**).

ქართველ ხალხს უყვარს და იგი იცნობს უკრაინის საბჭოთა ლიტერატურის ბევრ გამოჩენილ წარმომადგენელს.

გაუმარჯოს უკრაინაში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების სახელოვან 20 წლისთავს. დიდება და სახელი დიად გმირ უკრაინელ ხალხს. სალამი მოძმე უკრაინის სახელოვან მწერლებსა და პოეტებს. (ტაში).

ჩვენ შორის იმყოფებიან ბელორუსიის მწერლები, რომლებსაც მთელი საბჭოთა კავშირი იცნობს,—იმ ხალხის წარმომადგენლები, რომელიც მამაცურად და გმირულად სდგას ჩვენი სამშობლოს დასავლეთ საზღვრებთან, რომელიც მუდამ მზად არის გამანადგურებელი ლახვრის ჩაცემით უპასუხოს კაპიტალისტური სამყაროს ყოველგვარ მტრულ გამოსვლებს.

საქართველოს საბჭოთა მწერლები მხურვალე სალამს უძღვნიან ჩვენი უახლოეს მეზობელი რესპუბლიკების აზერბეიჯანისა და სომხეთის მწერლებს—წარმომადგენლებს (ტაში). ჩვენ მათთან გვანათესავებს არა მარტო ტერიტორიული მეზობლობა, არამედ მთელი საუკუნეების მანძილზე დამყარებული მჭიდრო ურთიერთდამოკიდებულებაც, ჩვენი ხალხების საერთო ბედი წარსულში, შეერთებული ძალით ბრძოლა სოციალისტური მშენებლობის ყველა ფრონტზე.

გაუმარჯოს ამიერკავკასიის ხალხთა შეუსუსტებელ, ურღვევ მეგობრობას. გაუმარჯოს აზერბეიჯანისა და სომხეთის აღორძინებულ ხალხებს. სალამი აზერბეიჯანისა და სომხეთის საბჭოთა მწერლებს. (ტაში).

ძნელია იმ აღტაცებისა და აღფრთოვანების გამოთქმა, რომლითაც საქართველოს მწერლები ხვდებიან ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხის ლიტერატურის წარმომადგენლებს, რომლებიც ამ პლენუმზე ჩამოვიდნენ.

ამხანაგებო, ჩვენი წინაპრები ან სრულიად არ ხვდებოდნენ ერთმანეთს, ან სრულიადაც არ იცნობდნენ ერთმანეთს, ანდა თუ კი ხვდებოდნენ, ხვდებოდნენ ბრძოლის ველზე, რათა განეგმირათ, დაემონებინათ და მოესპოთ ერთმანეთი.

შევადაროთ ჩვენი დღევანდელი სასიხარულო, მეგობრული საზეიმო შეხვედრა მაშინდელ სისხლიან შეხვედრებს და ესეც კი საკმარისი იქნება ამის მკვეთრ საილუსტრაციოდ, თუ რა მოუტანა საბჭოთა კავშირის ხალხებს ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, ლენინ-სტალინის ბრძნულმა პოლიტიკამ.

სცოცხლობდეს და მტკიცდებოდეს ჩვენი სამშობლოს ხალხთა დიადი სტალინური მეგობრობა. გაუმარჯოს ჩვენი ქვეყნის საბჭოთა მწერლების შემოქმედებითს ერთიანობას.

ამხანაგებო, ქართული საბჭოთა ლიტერატურა ამ პლენუმს ხვდება უდავო შემოქმედებითი წარმატებებით. პარტიის მხრივ ყოველდღიური მზრუნველობისა და დახმარების პირობებში, მთელი ხალხის სიყვარულით გარემოცულნი, საქართველოს საბჭოთა მწერლები, მჭიდროდ დარაზმულნი კომუნიზმის უძლეველი დროშის გარშემო, თანამიმდევრობით მიდიან წინ სოციალისტური ლიტერატურის ახალი გამარჯვებებისაკენ.

ხალხის სამგზის საზიზღარი მტრები, სისხლიანი ფაშიზმის დაქირავებული აგენტები, ტროცკისტ-ბუხარინელი ბანდიტები შეეცადნენ გამოეყენებინათ ქართული საბჭოთა ლიტერატურა თავისი საზიზღარი და შავბნელი გამცემლური საქმეების ასპარეზად. მაგრამ ბინძური მტრები ანგარიშში მოსტყუვდნენ. საქართველოს საბჭოთა მწერლები, ქართული ლიტერატურის მთელი სასიცოცხლო შემოქმედებითი ძალები, რომლებმაც პარტიისა და სახელოვანი შინსახკომის დახმარებით გასწმინდეს თავისი რიგები გამცემელთა უწმინდურებისაგან, კიდევ უფრო მჭიდროდ დარაზმნენ ლენინ-სტალინის პარტიის გარშემო, სოციალისტური მშენებლობის ამოცანების გარშემო.

და დღეს ჩვენი კავშირის ყველა ხალხის ლიტერატურის წარმომადგენელთა წინაშე ქართველი საბჭოთა მწერლები ყველას გასაგონად აცხადებენ: ჩვენ უსაზღვროდ ერთგულნი ვართ ლენინ-სტალინის ჩვენი პარტიისა, დიდი სოციალისტური სამშობლოსი, ჩვენ უსაზღვროდ ერთგული ვართ ჩვენი ძლიერი საბჭოთა ხალხისა და მზად ვართ მთელი ჩვენი შემოქმედებითი ძალები, და თუ საჭირო იქნება მთელი სიცოცხლეც, შევწიროთ სოციალიზმის საქმეს, მთელს მსოფლიოში კომუნიზმის გამარჯვების საქმეს.

გაუმარჯოს მძლავრ, უძლეველ საბჭოთა ხალხს!

გაუმარჯოს ლენინ-სტალინის დიად პარტიას!

გაუმარჯოს ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელს, ჩვენს საყვარელ მამასა და მასწავლებელს, კაცობრიობის გენიოსს დიდ სტალინს! (**მქუხარე ხანგრძლივი ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან. საბჭოთა კავშირის ხალხების ენებზე გაისმის მისალმება ხალხთა დიდი ბელადის საყვარელი სტალინის პატივსაცემად**).

გაუმარჯოს დიად მრავალეროვან საბჭოთა ლიტერატურას!

გაუმარჯოს საქართველოს ბოლშევიკთა და მთელი ქართველი ხალხის საყვარელ ხელმძღვანელს, ერთგულ სტალინელს ამხანაგ ლავრენტი ბერიას! (**მქუხარე ტაში**).

გაუმარჯოს ქართველი ხალხის გენიოსის, დიდი შოთა რუსთაველის უკვდავ მემკვიდრეობას. (**მქუხარე ხანგრძლივი ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან. ორკესტრი ასრულებს „ინტერნაციონალს". ყოველი მხრიდან გაისმის მისალმებათა შეძახილები სხვადასხვა ენებზე: „გაუმარჯოს ჩვენს ბელადს საყვარელ სტალინს!" „გაუმარჯოს ხალხთა სტალინურ მეგობრობას!" „გაუმარჯოს საქართველოს ბოლშევიკთა მებრძოლ ხელმძღვანელს ამხანაგ ლავრენტი ბერიას!" „ვაშა", „ური"**).

25 დეკემბრის დილის სხდომა

საბჭოთა კავშირის მწერლების, უკვდავი პოემის „ვეფხის-ტყაოსნის" 750 წლისთავისადმი მიძღვნილი V პლენუმის 25 დეკემბრის დილის სხდომაზე გრძელდებოდა საქმიანი მუშაობა.

პლენუმის მონაწილეებმა დიდი ყურადღებითა და ინტერესით მოისმინეს მწერალ ამხ. პ. პავლენკოს ვრცელი მოხსენება თემაზე „ვეფხის-ტყაოსანი".

ამხ. პავლენკომ, მისცა რა პოემის ანალიზი, აღნიშნა, რომ „ვეფხის-ტყაოსანი" — ეს შუა-საუკუნეების პირველი რეალისტური ნაწარმოებია. იგი გვიხატავს ცოცხალი ადამიანის ხასიათს და ამიტომ წარმოადგენს შუა-საუკუნეთა პირველ ფსიქოლოგიურ წიგნსაც.

შემდეგ ამხ. პავლენკო აღნიშნავს, რომ პოემა გაჟღენთილია ჰეროიკის, სიყვარულის, სიკეთის, სიმამაცის, ძმობის თემებით. ეს არის ადამიანთა ახალი იდეალებისათვის ბრძოლის პოემა, ძმობისა, მეგობრობისა და სიყვარულისათვის ბრძოლის პოემა. „ვეფხის-ტყაოსანი" არის წიგნი იმ ადამიანებზე, რომლებსაც სწამთ ბედნიერება და იციან მისი გზა.

თავის მოხსენების დამთავრებისას ამხ. პავლენკო ამბობს:

— „ვეფხის-ტყაოსნის" ხმა მიმართული იყო მთელი აღმოსავლეთისადმი, მთელი დასავლეთისადმი. ეს იყო ახალ საზოგადოებრივ - პოლიტიკურ შეხედულებათა ბრწყინვალე კიდობანი სჯულისა, სასიცოცხლო ოპტიმიზმით, სიკვდილისადმი ზიზღით, პატრიოტიზმითა და ადამიანისადმი სიყვარულით აღსავსე.

პოეტი, რომელიც შვიდ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ ჰქმნიდა საქართველოსათვის, ახლა იბადება ყველა საბჭოთა ხალხის პოეტად.

შემდეგ დიდი მოხსენებით „რუსთაველი და თანამედროვეობა" გამოვიდა პოეტი ვალერიან გაფრინდაშვილი.

— ჩვენ ვესწრებით რუსთაველის ხელმეორედ დაბადებას, — ამბობს ამხ. გაფრინდაშვილი. არასოდეს, არც სიცოცხლეში, არც სიკვდილის შემდეგ მას არ ჰქონია ასეთი რეზონანსი. ხალხმა შეინარჩუნა და დაიცვა გენიალური პოემა ყველა შავბნელი მტრული ძალებისაგან და დღეს ბედნიერი საბჭოთა ხალხი, რომელსაც ლენინ-სტალინის უძლეველი პარტია ხელმძღვანელობს, დაფნის ახალი გვირგვინით და ახალი დიდებით ამკობს ქართველი ხალხის გენიალურ პოეტს.

თავისი სტილისა და შემოქმედებითი დიაპაზონის მხრივ „ვეფხის-ტყაოსანი" ეკუთვნის მსოფლიო ლიტერატურის უდიდეს ნაწარმოებთა რიცხვს. რუსთაველი თავისი გენიოსობის მრავალი თვისებით უახლოვდება ჰომეროსს. ეჭვს გარეშეა ამ პოემის შინაგანი ანტიურობა, მისი ნათესაობა ილიადასთან და ოდისევსთან. თავისი უშიშროებით ტარიელი ჩვენ მოგვაგონებს აქილევსს, ავთანდილი კი — მოხერხებულ ოდისევსს.

მისი პოემა გაჟღენთილია იმ უდიდესი ჰუმანური იდეებით, რომლებიც საუკუნეობით დაედო საფუძვლად ევროპის რენესანსის მთელ აზროვნებასა და მთელ ლიტერატურას. რუსთაველი — ევროპის ჰუმანიზმის წინამორბედია: მის ნაწარმოებში ცენტრალური ადგილი უკავია არა ღმერთებსა და მითოლოგიურ რელიგიურ კატეგორიებს, არამედ ადამიანს თავისი ვნებითა და მისწრაფებით.

ჩვენ გვხიბლავს რუსთაველის განსაცვიფრებელი ოსტატობა — ჰარმონია ფორმასა და შინაარს შორის. პოემის ღრმა ფილოსოფიური შინაარსი ჩამოსხმულია ბრწყინვალე პოეტურ ფორმაში.

თავისი მოხსენების დიდ ნაწილს ამხ. გაფრინდაშვილი მიუძღვნის უკვდავი პოემის გავლენას ხალხურ შემოქმედებაზე და როგორც წარსული, ისე აწმყო საქართველოს პოეტების შემოქმედებაზე. იგი ამბობს, რომ მელექსე მეფეები თეიმურაზ პირველი, არჩილი, თეიმურაზ მეორე, ვახტანგ მეექვსე „მისი (შოთა რუსთაველის) მოვალეები იყვნენ".

XVIII საუკუნის პოეტი გურამიშვილი შოთა რუსთაველს თავის მასწავლებლად სთვლის. ფილოსოფიური ლირიკის შემქმნელი ნიკო ბარათაშვილი მისი აზრის მემკვიდრე გახდა. ბარათაშვილის შემდეგ XIX საუკუნის მეორე ნახევრის უდიდესმა პოეტებმა — აკაკი წერეთელმა და ილია ჭავჭავაძემ—აგრეთვე განიცადეს შოთა რუსთაველის ცხოველმყოფელი გავლენა. იგივე ითქმის ვაჟა ფშაველასა და საქართველოს სხვა პოეტებზედაც.

რუსთაველის შემოქმედებამ, მისი პოემის შინაარსმა და ფორმამ, მისმა სახეებმა წინასწარ განსაზღვრეს ქართული პოეზიის გზები მთელი რიგი საუკუნეების მანძილზე.

* * *

პლენუმზე სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სახელით მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა აკადემიკოსი ამხ. მეშჩანინოვი.

უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის სახელით მისალმებით გამოვიდა აკადემიკოსი — პოეტი ამხ. პავლო ტიჩინა, სომხეთის მწერალთა სახელით — ამხ. მირზა იბრაჰიმოვი.

საინტერესო სიტყვით თემაზე — „პოეტი და სამყარო" გამოვიდა მწერალი მ. ტიხონოვი.

* * *

პლენუმის დილის სხდომის შემდეგ მწერალთა ჯგუფმა მუშათა კოლექტივის მიწვევით დაათვალიერა აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკა. მეგობრულმა საუბარმა და მწერლებისა და პოეტების გამოსვლამ ღრმა შთაბეჭდილება დასტოვა.

25 დეკემბერს საღამოს სხდომა არ ყოფილა. პლენუმის მონაწილენი საქართველოს რუსთაველის სახელობის დრამატულ თეატრში დაესწრნენ სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დეპუტატის, დრამატურგ შალვა ნიკოლოზის-ძე დადიანის პიესას — „ნაპერწკლიდან".

* * *

26 დეკემბერს პლენუმის სხდომა არ იქნება.

ყაზახსტანის მწერალთა დელეგაციის ჩამოსვლა

რუსთაველის საიუბილეო ზეიმში მონაწილეობის მისაღებად გუშინ ყაზახსტანიდან თბილისში ჩამოვიდა ყაზახსტანის მწერალთა დელეგაცია 5 კაცის შემადგენლობით. ჩამოსულთა შორის არიან ყაზახსტანის სახალხო პოეტი, ორდენოსანი ჯამბული, სახალხო პოეტი აზერბაევი, კარატაევი, პოეტი ყარაკოვი და ჰ. კუზნეცოვი.

სტუმრებს სადგურზე შეხვდნენ სსრკ მწერლების კავშირის რუსთაველის საიუბილეო პლენუმის მონაწილეთა წარმომადგენლები — ასეევი, არშარუნი, აბაშელი, ვიშნევსკი, ჩიქოვანი, ნაირი ზორიანი, გ. სარიანი, მნიანი და სხვ.

მწერალთა კავშირის პლენუმის მონაწილენი ქ. გორში

გუშინ საღამოს სსრკ მწერალთა კავშირის გამგეობის პლენუმის მონაწილე დელეგატებმა რუსთაველის სახელობის თეატრში ინახულეს შ. დადიანის პიესა „ნაპერწკლიდან". დღეს დილით დელეგაციის წევრები გაემგზავრნენ ქ. გორში იმ სახლის დასათვალიერებლად, სადაც დაიბადა და გაატარა ბავშვობა დიდმა ბელადმა.

24 დეკემბერს თბილისში გაიხსნა სსრ კავშირის საბჭოთა მწერლების კავშირის საიუბილეო პლენუმი, მიძღვნილი შოთა რუსთაველის უკვდავი პოემის „ვეფხის-ტყაოსნის" დაწერის 750 წლისთავისადმი.
სურათზე: (მარცხნიდან მარჯვნივ) პლენუმის დელეგატები ასეევი, სურკოვი, ვერა ინბერი, კასილი, მიხალკოვი, ალტაუზენი, ჟაროვი და პანფეროვი.

ფოტო ბუდიშტაკასა და დოროფეევის („სოიუზფოტოს" საქ. განყ.

რუსთაველის იუბილესათვის

„ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“

იანკა კუპალა

მზიურ რუსთაველს

ქართველი ქალი, მზის სხივები და მწვერვალები;
ყურძნის წვენი და განთიადი, დაისის მთვარე,
ბედნიერებით სავსე სახლი, სავსე თვალები,
თითქოს ოცნებას გაუშლია ეს არე-მარე.

თაფლს ეზიდება მზრუნველობით ფუტკარი სკაში,
მწყემსი ამღერებს სალამურით ჰანგებს მხიარულს,
ტკბილ საქართველოვ! იალბუზით ასულო ცაში
გულით ვესწრაფით შენთან მღერას, შენთან სიარულს.

რუსთველთან ცოცხლობს სინამდვილე და თვით ზღაპარი,
ყოველ ქოხში და მთათა შორის მიმალულ ხევში;
ამაზე მღერის ანთებული ცაზე ლამპარი,
არწივის ფრენა და ტევრებში ფოცხვერის გეში.

გმირულმა ხალხმა გაიარა მთები და ვაკე,
სამშობლოს ორგულთ დაუნდობლად ებრძოდნენ, ჰგმობდნენ,
და მოიტანა რუსთაველის სიტყვა და საქმე
სტალინის სხივით და სახელით ანთებულ დრომდე.

გავიდა ბევრი საუკუნე, წავა მრავალიც,
ისევ ურყევად იდგომები ამაყო ბუდე.
და საქართველო სიმღერების გზით მიმავალი,
ვით რუსთაველი გადალახავს ჟამთა სვლის ზღუდეს.

მთების ზღაპარი ალერსივით არის მზიანი,
შორეთი სხივით და ბინდებით გვხიბლავს ადვილად.
წავიდა ყველგან, სადაც სახლობს ადამიანი,
შოთას ზღაპარი, შოთას ფიქრი და სინამდვილე.

ქართველი ქალი, მზის სხივები და მწვერვალები,
ყურძნის წვენი და განთიადი, დაისის მთვარე,
ბედნიერებით ავსებული ქვეყნის თვალები,
თითქოს ოცნებას გაუშლია ეს არე-მარე.

ბელორუსულიდან სთარგმნა მ. პ—ძემ
17/XII 37 წ.

რუსთაველი საბჭოთა ადამიანის გულშია

— საბჭოთა ქვეყნის ხალხთა მწერლების დაახლოვება შესაძლებელი გახდა მხოლოდ ლენინ-სტალინის ნაციონალური პოლიტიკის განუხრელად განხორციელების შედეგად. ეს არის ერთი უდიდესი მიღწევათაგანი ჩვენს დროში. რომელი ჩვენგანი იცნობდა უწინ საქართველოს ლიტერატურას, არა მარტო ძველს, არამედ ახალსაც? — მხოლოდ ერთეულები ჩვენს შორის.

ახლა სხვადასხვა ხალხთა მწერლების ნაწარმოებნი ერთმანეთის ენებზე ითარგმნება. ახლა ჩვენ კარგად ვიცნობთ საქართველოს ლიტერატურას, ვიცნობთ საქართველოს გამოჩენილ მწერლებს. როცა კითხულობ საქართველოს მწერალთა ნაწარმოებებს, უსათუოდ მოგხიბლავს ეს ქვეყანა—საქართველო. რას წარმოადგენდა საქართველო —თვალმარგალიტი დიადი საბჭოეთისა, მზიური ქვეყანა, რომელმაც კაცობრიობას მისცა დიადი ადამიანები—მე არ ვიცოდი, მე არ მენახა საქართველო. და აი, დღეს საქართველოს დედაქალაქ თბილისში ვარ, კმაყოფილების გრძნობით დამტკბარი.

იწყება ზეიმი დაუვიწყარი პოემის „ვეფხის-ტყაოსნის“ ავტორის საიუბილეოდ. შოთა რუსთაველი ყველაზე მახლობელი, საყვარელი და ძვირფასია საბჭოთა ადამიანებისთვის. შოთა რუსთაველი საბჭოთა ადამიანის გულშია. შოთა—განუმეორებელი მგოსანი და მოაზროვნე—ჩვენია.

ალ. ფადეევი

„რასაცა გასცემ, შენია...“

— რუსთაველმა კაცობრიობას დაუტოვა დიდი ფილოსოფიური მემკვიდრეობაც, მაგრამ ამ საკითხზე აქ არ შევჩერდები. „რასაცა გასცემ, შენია, რაც არა დაკარგულია“. ეს ცნობილი აფორიზმი შოთამ პირველმა თვითონვე გაამართლა. მან კაცობრიობას მისცა შესანიშნავი ნაწარმოები და იგი ცოცხლობს დღემდე.

ამ აფორიზმის მიმდევარი ვარ მეც. ვცდილობ დავტოვო ლიტერატურული ძეგლი მომავალ თაობათათვის და ამიტომ ბევრს ვმუშაობ. განსაკუთრებით ბევრს ვმუშაობ თარგმანებზე. ახლა ვწერ ლექსების წიგნს წითელ არმიაზე და განზრახვა მაქვს შევუდგე ახალი წიგნის წერას. ამ წიგნს მინდა ვუწოდო „კავკასიონი“.

რუსთაველის შემოქმედებითი გზით მოსიარულენი, რასაც შევძლებთ, იმას მივცემთ ხალხს.

ნ. ტიხონოვი.



სურათი უჩა ჯაფარიძისა

რუსთაველმა აღგვიძრა ინტერესი ქართული კულტურისადმი

უიაპ მიში

(ჩუვაშთა პოეტი)

ჩუვაშეთი ოქტომბრის რევოლუციამდე ჩამორჩენილ ქვეყანას, თვითმპყრობელური რუსეთის კოლონიას წარმოადგენდა, ხოლო როგორც კოლონიურ ქვეყნებს უწერიათ, ჩვენი ქვეყანაც კულტურულად მეტად დაბალ საფეხურზე იდგა.

საჭირო იყო ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია, საჭირო იყო ლენინ-სტალინის ნაციონალური პოლიტიკა, რომ იმპერიალისტური რუსეთის ჩაგრულ ერებს ფართო გზა გახსნოდათ კულტურისაკენ, მისცემოდათ საკუთარი ნიჭის, უნარის, შემოქმედების ძალთა გამომჟღავნების შესაძლებლობა. და აი დღეს ჩვენი ქვეყანაც დიდი საბჭოთა კავშირის ერებს შორის დგას, როგორც თანასწორი-თანასწორთან. ამ ოცი წლის მანძილზე ჩუვაშმა ხალხმა შესძლო შეექმნა თავისი მწერლობა, თავისი კულტურა და, რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია, შესძლო წერა-კითხვის უცოდინარობის სრული მოსპობა, შესძლო შეექმნა კავშირში ყველაზე სანიმუშო შარა გზები. დღეს იგი სხვა ერების კულტურასაც ეცნობა.

დიდია ინტერესი როგორც დასავლეთისა, ისე აღმოსავლეთისა და კერძოდ საბჭოთა კავშირის ერების კულტურის ათვისებისადმი.

ჩვენთვის აქამდე უცნობი იყო ქართველი ერის კულტურა, უცნობი იყო ისეთი დიდი შემოქმედიც კი, როგორიც რუსთაველია, რომელსაც მსოფლიო კორიფეებს შორის საპატიო ადგილი უჭირავს.

იუბილემ აღგვიძრა ინტერესი ამ დიდი გენიოსი პოეტისადმი. მე და ჩემთან ერთად პოეტი ამხ. იან გაზი შევუდექით „ვეფხის-ტყაოსნის“ ნაწყვეტების თარგმნას. ჩვენი მწერლების კავშირის ჟურნალ „სუნ-ტალში“ დაიწყო ბეჭდვა სტატიებისა რუსთაველზე და მისი უკვდავი პოემის ნაწყვეტებისა. რუსთაველი ჩუვაშ ხალხშიც შეიჭრა, მისმა გენიალურმა იდეებმა, მისმა სიბრძნემ აქაც ნოყიერი ნიადაგი ჰპოვა.

რუსთაველმა ჩვენს პოეტებსა და მწერლებს აღუძრა ინტერესი ქართული კულტურისადმი და ჩვენს ამოცანას შეადგენს იუბილეს შემდეგ მის შესწავლას უფრო გულმოდგინედ შევუდგეთ.

რუსთაველის იუბილე უაღრესად დიდი მნიშვნელობის კულტურული და პოლიტიკური მოვლენაა. იგი გვიჩვენებს, რომ ცალკე ერების კულტურული სიმდიდრე არ წარმოადგენს გარკვეული ერის განკერძოებულ საკუთრებას, არამედ იგი ყველას ეკუთვნის. ასეთია „ვეფხის-ტყაოსანი“. იგი ისევე აღელვებს ჩუვაშს, ყალმუხს, რუსს, უზბეკს, უკრაინელს, ბელორუსს, როგორც ქართველს.

ჩუვაშეთში რუსთაველს დიდძალი მკითხველი გაუჩნდა. ჩვენი ხალხი დაინტერესდა ქართული ლიტერატურით და ასეთივე ინტერესი აღეძრა მას ყველა დანარჩენ მოძმე ხალხთა ლიტერატურისადმი.

გიორგი ლეონიძე

ბელადის კერა

1.

ბევრია, ქართლო, შენს ძველ მიწაზე
ნატამრევი და ნასახლარები,
ბევრია კოშკი დუღაბდასხმული
და ძველებური სახლი ღარიბი...

მაგრამ ის მიყვარს —ალიზის ქოხი,
ვით სატრფიალო შენი ბუნება;
ლიახვის შხაპი, ზვირთი მტკვარისა
არწივის ბუდეს ეშხაპუნება...

მისი დიდებით ბრწყინავენ მთები,
თითქოს აყრიათ დედის ჭაღარა;
აღარ სჩანს დედა თავდახურული...
რამდენი კოკა ცრემლი დაღვარა...

მაგრამ ეზოში ჰყვავის ყვავილი,
ეზოს ქვებს ახსოვთ ბავშვის თამაში,
ვინც ამ კერაზე ვაჟკაცდებოდა
გმირად —ძველ ქართულ იავნანაში!

რა ძალა იყო, რომ გამოჰკვეთა,
რა ნაჭედობამ დააფოლადა, —
ბმულ დროშიდან ღიმით მზირალი
მილიონ გულის ასათრთოლადა!

2.

ქოხო ქართლურო, ალიზიანო,
შენ ვერ დაგარყევს ჟამთა გრიალი,
შენი საძირე და საძირკველი
ჩემი სამშობლოს სიმაგრე არი!

3.

აქ დაგანძულა ყრმის მოგონება,
დიდი ბელადის გულასაძგერი;
პირველი დილის დაბრწყინვალება
ამ სარკმელიდან
მას აქვს ნაცქერი...

ამ აივნიდან დაუნახია
ძველი ნანგრევი ჩამორღვეული;
მთა მიმჯაჭველი ამირანისა
ცრემლის ნისლებით გარმოხვეული...

პირველი კვნესა აქ შესმენია,
და გაზაფხულის ღელვატეხილი...
ჭრელ აბგას დედა აქ უკერავდა,
როდესაც ფურცელს ჰყრიდა ხეხილი...

ბავშვს მელნად ჰქონდა ყაყაჩოს წვენი
და წიგნად—
ხალხის გული მაგარი;
ჩონგურულ ხმებში ეწვეთებოდა
დიდი გმირების ნაჭირმაგარი:

„შავი კლდის თავზე ჰკიდია
ვაჟის ჯურღმის ფარიო,
მოუვლის ბრძოლის წადილი,
ხანდისხან შესძრავს ქარიო“!

4.

ხალხის წადილს და გმირების წყურვილს
ისისხლხორცებდა ბავშვის ოცნება;
აქ ფრთას ისხამდა ის ქარიშხალი,
ახლა მსოფლიოს რომ ეტყორცნება!

მზე ამ ქოხიდან ამოგვივიდა —
დამშვენებელი ხალხის გულისა;
აქ აელვარდა ცხელი ფოლადი —
სიმაგრე ჩვენი, თვითეულისა!

ხელდროშიანებს, აზვირთებულებს
გული ამ ცეცხლით გვიხურებია;
ჩამოთოვლილი მუხლ ამდე მთები
ზვიადად მისთვის იყურებიან...

აქ, ლიახვი რომ მტკვარს ეტმასნება,
და ატმის შუქში დილა რხეულა,—
ცქრიალა ყრმა და ხალხის ბელადი
ყელგადაჭდობით გად ახვეულან...

და ქოხში, სადაც ოქროსხმიანი
ჰონას მღეროდა, ვით ორფეოსი. —
ბრწყინავს სიწმინდე მრავალ ხალხების,
დიდება ახალ საქართველოსი!..

ლ. მეტრეველი

„ვეფხის-ტყაოსანი“ და ჩვენი ეპოქა

დღეს, როდესაც სიხარულით აღტაცებულ ქართველ ხალხთან ერთად მთელი საბჭოეთის გამარჯვებული ხალხი განსაკუთრებულის დიდებით აღნიშნავს შოთა რუსთაველის უკვდავი ქმნილების შვიდას ორმოცდაათი წლის თავს, ბუნებრივად იბადება შემდეგი საკითხი:

— რითი ენათესავება „ვეფხისტყაოსანი“ საბჭოთა ეპოქას?

— რა არის საერთო „ვეფხისტყაოსანსა“ და დღევანდელობას შორის?

— „ვეფხის-ტყაოსანი“ დღესაც ისევ სისხლითა და ხორცით მფეთქავი სიმშვენიერეა, რომელიც ჰიგოსავით ჩაჰხვევია ჩვენს მრავალ ულამაზეს სულისკვეთებას, თუ ეს მხოლოდ გარდასული დიდების საპატიო მოგონებაა?

მაგრამ ვიდრე „ვეფხის-ტყაოსნის“ დღევანდელობასთან ნათესაობაზე ვიტყოდეთ რამეს, საჭიროდ მიგვაჩნია, პირველ ყოვლისა, აღინიშნოს მისი განსხვავება ამ დღევანდელობისაგან.

„ვეფხის-ტყაოსანში“ ქებასხმულია ყოველი ეპოქის ადამიანისათვის შემამკობელი თვისებანი: კეთილშობილი მიზნების დასახვა, ამ მიზნებისათვის გახელება და ბრძოლა შეუპოვარი. იდეალურ სიმაღლემდე აყვანილი ვაჟკაცობა, მეგობრობა, მიცემული სიტყვისა და ფიცის სიმტკიცე, გაჭირვებულთა და ობოლთა შეწყალება.

მაგრამ ყველა ამ სახარბიელო სიკეთის მატარებლები არიან მხოლოდ ცალკეული, რჩეული ადამიანები. ესენი არიან ტარიელი და ნესტანი, ავთანდილი, ფრიდონი, თინათინ, ასმათი და ფატმა-ხათუნ. ყველა [illegible] მოდიან და მოილევიან ამ სამაყო ადამიანური თვისებებით. ყოველ მათგანს თვალმარგალიტით მოთვისილ ცილასავით ამშვენებენ ეს ნანინანატრი სიკეთენი და მათი მხილველიც იმსჭვალება მათდამი მგზნებარე სიყვარულით.

მაგრამ ამ რჩეულებს იქით თითქოს სიცალიერეა და სიღარიბე, რომ იტყვიან თითქოს განგებას ამ თითოოროლა ადამიანზე დაუბერტყია თავისი სიკეთის კალთა და ამითი ამოიწურა მთელი ქვეყნის ბედიღბალი.

დღეს კი სულ სხვაა: დღეს ბრძოლით განთავისუფლებული მშრომელთა კლასები და საერთოდ მთელი გამარჯვებული ხალხია მატარებელი ლამაზი და წარმტაცი იდეებისა, ბრძოლის შეუპოვრობისა და თავგამოდებისა, გმირობისა და სიუხვისა. ეს თვითონ მშრომელი ხალხია, რომლის წიაღიდანაც ბუნებრივად მომდინარეობს ეს მაღალი ადამიანური თვისებანი. ეს იდეალური მისწრაფებანი და ზნეობანი თვით მშრომელი ხალხის სისხლი და ხორცია, მისი სულისკვეთება და ნეტარებაა.

ეს საუკუნოების აკვანში ნატვრით ნარწევი ნიჭიერებანი „ვეფხის-ტყაოსნის“ გმირებში თითქოს შემთხვევით არის ჩანერგილი განგების მიერ.

დღეს კი მთელი გამარჯვებული ხალხი ამჟღავნებს და ახორციელებს მას როგორც საკუთარი აზრის ბრწყინვალებას, საკუთარი გულის აღგზნებას, საკუთარი მარჯვენის შემოქმედებას. ეს არის მისი ნამდვილი მზეთა-მზეობა და გმირთა-გმირობა. ეს არის მისივე არსებიდან მომსკდარი შინაგანი კანონზომიერება.

ძლიერი და წარმტაცი იდეები, გმირობა და მეგობრობა, რაინდობა და ქველობა ცხოვრებაში იმარჯვებენ არა მაშინ, როცა ცალკეული ადამიანები მოიმღერიან მათ, არამედ როცა გამარჯვებული მშრომელი ხალხი აპურადებს მისით მთელ ქვეყნიერებას, როგორც საკუთარი ნაჭირნახულევით.

ახლა გადავავლოთ თვალი, თუ „ვეფხის-ტყაოსანი“ რა სისხლის მჩქეფარე ძარღვებით არის გადახლართული ჩვენს ეპოქასთან.

„ვეფხის-ტყაოსანი“ გასაოცარის ფერადოვნებით ამდიდრებს და ალამაზებს ადამიანთა სამყაროს. აქ სრულყოფილი და საამური ცხოვრებაა დასახული უმაღლეს მიზნად. ამ მიზნის განხორციელებაში ერთმანეთთან განუყრელად არიან შესისხლხორცებული განა მარტო პირადი და მეგობრების ბედიღბალი, არამედ მთელი სახელმწიფოს გამარჯვება და კეთილდღეობაც.

„ვეფხის-ტყაოსანი“ ეს არის შეუპოვარი ბრძოლა ყოველგვარი ამქვეყნიური სიკეთის მოსაპოვებლად. მასში გვესმის სიმღერა და უდიდესი საგალობელი ადამიანის სიძლიერისა და სიმშვენიერისადმი, მისი ბედნიერებით აელვარებული ცხოვრებისადმი.

„ვეფხის-ტყაოსანი“ ბრძოლით, სიმღერით, სიხალისით ქვეყნად ამყარებს იმ სანეტარო ცხოვრებას, რომელზედაც ოცნებობს ყოველი ჯანსაღი გრძნობებით აღგზნებული ადამიანი.

და განა ამავე შინაარსით არ არის გაჟღენთილი მთელი ჩვენი დღევანდელი დევგმირული შრომა, საქმიანობა. განა მდიდარი და საამო ცხოვრების დამყარებით არა ზურმუხტისებ დავაჟკაცებული საბჭოეთის მაგარი მიწა?

„ვეფხის-ტყაოსანში“ ადამიანი წარმოდგენილია როგორც გაუბზარავი საჭურჭლე ულამაზესი წყურვილებისა. იგი სიკეთის მოსახვეჭად ცხოვრების ასპარეზზე გამოდის ფხიზელი გონებით, მგზნებარე გულით, გაუტეხავი მკერდითა და მკვრივი მარჯვენით. მის შინაგან დუღაბს კი წარმოადგენს შეუდრეკელი ნებისყოფა და აუცილებელი გამარჯვებისათვის გმირთაგმირული გახელება.

მთელი ჩვენი დღევანდელობა ეს ხომ ერთსა და იმავე დროს თან სანეტარო ღრეობაა უკვე მოპოვებული სიკეთის შესატკბობლად, თან დიდებული ლაშქრობაა უფრო სრულყოფილი ბედნიერების დასაპყრობლად.

ჩვენი ბობოქარი ცხოვრების მთასა და ბარზე სად გადადგამ ნაბიჯს, რომ „ვეფხის-ტყაოსნის“ უკვდავების ნაკადს არ დაეწაფო სიხარბითა, სიამითა და ნეტარებით!

ჩვენ ბევრი სიკეთე გვიჭირავს ხელში, მაგრამ კიდევ ბევრი რამ არის მოსაპოვებელი. დიადი და ლამაზი მიზნები გვაქვს წინ დასახული. მაგრამ ვინ იტყვის, რომ საკმარისია მარტო მიზნების დასახვა და ნატვრა?

„სჯობს საყვარელსა უჩვენო საქმენი საგმირონია!

და ეს შეძახილი მაშინათვე აღანთებს კაცს ნამდვილი გმირული გახელებისთვის.

საბჭოეთის ხალხს უყვარს ზეიმი და სიხარული, შრომა და გარჯილობა, ბრძოლა და გამარჯვება, მაგრამ ყველაფერ ამას წინ მიუძღვის ფხიზელი აზრი და გონიერება.

„ჰხამს თუ კაცმან გონიერმან
ძნელი საქმე გამოგოს,
„არ სიწყნარე გონებისა
მოითმოს, მოიძაგოს.

საბჭოეთის ნიადაგზე დანერგილ სიკეთეს ბევრი მტერი და მოშურნე ჰყავს. ჩვენ მოგველის მათთან სასტიკი შეჯახება. მთელი ხალხი თავისი მაგარი მკერდით მიეგებება წინ, მაგრამ შეიძლება მაინც გამოჩნდეს რომელიმე მახინჯი ჯაბანი!

„რა უარია მამაცსა, ომშიგან
პირის მომეჭრელსა,
„შემდრკალსა შეშინებულსა და
სიკვდილისა მეჭველსა!

„კაცი ჯაბანი რითა სჯობს
დიაცსა, ქსლისა მბეჭველსა?
„სჯობს სახელისა მოხვეჭა
ყოველსა მოსახვეჭელსა!“

ან კიდევ შემდეგი ადგილი:

„ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა
ვიწრო, ვერცა კლდოვანი,
„მისგან ყოველი გასწორდეს
სუსტი და ძალ-გულოვანი;
„ბოლოდ შეჰყარნეს მიწამან
ერთგან მოყმე და მხცოვანი.
„სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა
სიკვდილი სახელოვანი!“

აბა რომელი შეძახილი აჯობებს ამას, რომ თავისი ბრძოლად დაწყობილი რაზმები შმაგურად გაუშვას წინ — გამარჯვების მოსაპოებლად?

რომელი ბუკი და ნაღარა შეედრება „ვეფხის-ტყაოსნის“ რიხიან შეძახილს:

„ჰხამს თუ კაცი არ შეუდრკეს,
ჭირს მოუხდის მამაცურად“.

„არ შეუდრკების ჭაბუკი კარგი
მახვილთა კვეთასა“,

„ჰხამს მამაცი მამაცურად,
სჯობს, რაზომცა ნელად ტირსა.
ჭირსა შიგან გამაგრება ასე უნდა,
ვით ქვიტკირსა“.

ყოველი საქვეყნო საქმე, ყოველი ბრძოლა და იდეალებისათვის თავგამოდება გულისხმობს სიმართლის უმაღლეს შეგრძნობას.

„ქმნა მართლისა სამართლისა ხესა
შეიქმს ხმელსა ნედლად“.

„მარგალიტი არვის მიხვდეს
უმსყიდლოდ, უვაჭრელად,
კაცი ცრუ და მოღალატე ჰხამს
ლახვრითა დასაჭრელად“.

ახალი ადამიანი, სოციალიზმის დამამკვიდრებელი ადამიანი, იმპერიალისტების მუქარასთან პირისპირ მაცქერალი ადამიანი ყოველთვის უნდა იყვეს მხნე, მტკიცე, ფიცისა და სიტყვის არ გამტეხი. და „ვეფხის-ტყაოსნიდანაც“ მტკიცედ ნაღესი მახვილით მოელავენ—

„ჰხამს მამაცი გულოვნობდეს,
ჭირსა შიგან არ დაღონდეს“.

„რამცა სადა გაემარჯვა კაცსა
ფიცის გამტეხელსა!“

„ყმასა უთხრა: „ვინცა კაცმან
ძმა-იმმოს თუ დაცა იდოს,
ჰხამს თუ მისთვის სიკვდილსა და
ჭირსა თავი არ დარიდოს“.

„ჰხამს მოყვარე მოყვრისათვის
თავი ჭირსა არ დამრიდად,
გული მისცეს გულისათვის,
სიყვარული გზად და ხიდად“.

მთელი საბჭოთა ქვეყანა შეჰხარის და ეთაყვანება ჩვენ ჯანსაღ ახალთაობას. იგი შვილია ახალი ეპოქის. მასთან ძვალრბილით შესისხლხორცებული. ამ ჯანსაღ თაობას უყვარს შრომაც და ვარჯიშობაც, სიხარულიც და სიმღერაც. უყვარს სამზადისი მომავალი ბრძოლებისთვისაც.

შოთასაც უყვარს და ქებით ამკობს ასეთ ყრმათა სიჯანსაღეს:

„ყმა წავიდა მხიარული,
ლმობიერი, არ გამწყრალი.
ლომი მინდორს ლომთა თანა
მოარული, ფერნამკრთალი
ყრმა-სოფლისა ხასიათი, ჯავარ
სრული, მრავალწყალი“.

„მოყმე მხნე, უხვი, ძლიერი,
ფიცხლად მამხტომი ცხენისა.
ენება არავის არ ძალუძს მის
მზისა ოდენ მშვენისა“.

„ვისი ჰგავს ტანი საროსა და ვისი
გული რკინასა“.

საბჭოეთის ჯანსაღ ხალხს დიად მშენებლობასა და შრომასთან ერთად უყვარს გულსავსე ზეიმი და სიმხიარულეც. და შოთასაც თითქოს შვიდი საუკუნის წინად დაინახოს ამ ჩვენი დიდებული ქვეყნის ზეიმით.

„ბჭე მოსვლითა გაყმდების კაცი,
თუც იყოს ბერები.
სმა, გახარება, თამაში, ნიადაგ
არს სიმღერები.
ზამთარ და ზაფხულ სწორად
გვაქვს ყვავილი ფერად-ფერები
ვინცა გვიცნობენ, გვნატრიან,
იგიცა-ვინა მტერები“.

კმარა მაგალითები.

„ვეფხის-ტყაოსნის“ მიხედვით სიცოცხლე არის ბრძოლა, სიხარული და სიამე. კაცის სიკეთე და ბედნიერება თვით დედამიწაზე, თვით ხალხში და ადამიანებშია საძიებელი. „ვეფხის-ტყაოსნის“ გმირები სრულყოფილი არსებანი არიან როგორც სახიერად, ისე სულიერად. იგინი თავმომწონედ მოიმართებიან ცხოვრებაში განა მარტო თავიანთი ახოვანობით, თავიანთი წრფელი აზრებითაც, მაღალი გრძნობებითაც, თავიანთი სიბრძნითა და სილამაზითაც. ამ გმირებს თავიანთ აბჯარზე მეტად ამშვენებს ის ადამიანური უმაღლესი თვისებანი, რაც იდეალად იყო დასახული მრავალი საუკუნის განმავლობაში და რაც განხორციელებულია დღეს, ჩვენს სოციალისტურ ეპოქაში.

ამიტომ „ვეფხის-ტყაოსნის“ მაღალი ჰანგები, მისი სიტყვა-მზეობით ნაქარგი სიბრძნე, მისი სწორუპოვარი გზნება და გახელება საესებით მახლობელია და ნათესაური დღეს ჩვენთვის.

ამიტომაც „ვეფხის-ტყაოსანი“ თავისი სიდიადითა და სიმშვენიერით დღეს გაცილებით უფრო მეტის ბრწყინვალებით გვევლინება, ვიდრე ოდესმე. იგი შემდეგში უფრო შერავანდედით მოეფინება ქვეყნიერებას, რადგან საკაცობრიო იდეებსა და ცხოვრების გადამხალისებელ მაღალ გრძნობებს ჯერ კიდევ აქლიათ გამარჯვება მთელ მსოფლიოში.

◆

ჩაურევლობის კომიტეტის ქვეკომისიაში

ამხ. მაისკიმ ზუსტად გამოხატა საბჭოთა მთავრობის პოზიცია

ლონდონი, 23 დეკემბერი (საკდესი). ჩაურევლობის კომიტეტის თავმჯდომარესთან არსებულმა ქვეკომისიამ გუშინდელ სხდომაზე დაამთავრა ესპანეთიდან „ვოლონტერების" ევაკუაციის გეგმის განხილვა და ძირითადად განიხილა უცხოელ კომბატანტთა „არსებითი რაოდენობის" (ქვეკომისიამ ჯერ კიდევ ვერ მოიცალა განესაზღვრა რა არის „არსებითი რაოდენობა") გაყვანის შემდეგ მეომარი მხარის უფლებათა მინიჭების პროექტი.

პირველი საკითხიდან დარჩა ერთი სადავო პუნქტი — გერმანიის, იტალიის და სხვა მსგავსი ქვეყნების ემიგრანტ-ვოლონტერების შესახებ, რომლებიც ესპანეთში ჩასვლამდე ევროპის გარეთ (ამერიკის შეერთებულ შტატებში, კანადაში და ა. შ.) ცხოვრობდნენ. რა უყონ მათ ევაკუაციის განხორციელების შემთხვევაში? ისინი აშკარად არ შეიძლება გაიგზავნონ გერმანიაში, იტალიაში და სხვ. მაგრამ მეორე მხრით კომიტეტს არ შეუძლია დაავალოს იმ ქვეყნებს, რომლებიც მისი წევრები არ არიან (ხოლო ასეთებს ეკუთვნის ყველა არაევროპული სახელმწიფო), უკანვე მიიღონ ანტიფაშისტი ემიგრანტები. გერმანიისა და იტალიის წარმომადგენლები მოითხოვდნენ, რომ ასეთი ვოლონტერები მოთავსებული იყვნენ სამოქალაქო ომის დამთავრებამდე თვით ესპანეთის „საკონცენტრაციო ბანაკებში". სსრ კავშირის წარმომადგენელმა ამხ. მაისკიმ გადაჭრით გაილაშქრა ამის წინააღმდეგ და ხაზგასმით აღნიშნა, რომ „იმ ადამიანებს, რომლებიც ესპანეთში გაემგზავრნენ იმისათვის საბრძოლველად, რაც მათ თავის პოლიტიკურ მოვალეობად მიაჩნიათ", არ შეიძლება მოვექცეთ როგორც დამნაშავეებს. თუ კომიტეტს არ შეუძლია უზრუნველჰყოს მათი დაბრუნება იმ ქვეყნებში, საიდანაც ისინი ჩამოვიდნენ, მაშინ მან უნდა უზრუნველჰყოს მათთვის ესპანეთში ყოფნის სრული თავისუფლება. ქვეკომისიამ ბოლოს მიიღო ამხ. მაისკის წინადადება, პრაქტიკული დეტალების შემუშავება კი გადასდო.

მეომარი მხარის უფლებათა საკითხზე ამხ. მაისკიმ განაცხადა, რომ საბჭოთა მთავრობა მზად არის მოიწონოს ექსპერტების მიერ შემუშავებული პროექტი, მაგრამ სამი დამატებით. ჯერ ერთი, კომიტეტმა უნდა მიიღოს ზომები, რომ მეომარი მხარის უფლებათა განხორციელება, როდესაც ისინი მინიჭებული იქნება, მხოლოდ იმ საზღვაო ძალების დახმარებით ხდებოდეს, რომლებიც ახლა არის ესპანეთის მთავრობისა და გენერალ ფრანკოს განკარგულებაში. აკრძალულია სამხედრო გემების ყოველგვარი მიყიდვა, იჯარით გადაცემა ან „ძღვნად" მირთმევა ესპანეთის კონფლიქტის რიგი მხარისათვის. მიუხედავად იტალიისა და გერმანიის წინააღმდეგობისა, მეომარი მხარის უფლებათა დოკუმენტის საბოლოო რედაქციაში შეტანილი იქნება სსრ კავშირის მოთხოვნის შესაბამისი პუნქტი.

შემდეგ ამხ. მაისკიმ შეიტანა დამატება, რომლის თანახმადაც თვითეული მთავრობა, თუ მასსა და ესპანეთის ერთერთ მხარეს შორის კონფლიქტი აღმოცენდა მეომარი მხარის უფლებათა გამოყენების საკითხზე, ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ კომიტეტს. კომიტეტს კი უფლება ექნება განიხილოს ასეთი კონფლიქტი და მიიღოს სათანადო გადაწყვეტილებანი. საბჭოთა ამ წინადადებამაც სერიოზული ოპოზიცია გამოიწვია არა მარტო გერმანიისა და იტალიის, არამედ ლორდ პლიმუტისაც, რომელსაც უნდოდა დაემტკიცებინა, თითქოს ეს წინადადება თვითეული სახელმწიფოს სუვერენიტეტის დარღვევას წარმოადგენს. საბოლოო ანგარიშით ქვეკომისიამ საბჭოთა წინადადება მიიღო მცირე მოდიფიკაციებით.

დასასრულ, ამხ. მაისკიმ განაცხადა, რომ საბჭოთა მთავრობისათვის მისაღები არ არის დოკუმენტის მერვე პარაგრაფის კაუჩუკის ფორმულები, რომლებიც მეომარი მხარის უფლებების ისეთ ფართო განმარტების შესაძლებლობას იძლევიან, რომ ყოველი უაღრესად კანონიერი ვაჭრობა ესპანეთთან, თუ ის მიღებულ იქნა, შეუძლებელი გახდებოდა. ამ შემთხვევაში ფრანკოს შეეძლებოდა დაეკავებინა არა მარტო იარაღითა და ამუნიციით დატვირთული გემები, არამედ აგრეთვე პურის, ხორცის და სხვა ამგვარი სრულიად არა სამხედრო პროდუქტების გადამზიდავი გემებიც. ამ პუნქტმა ერთობ მხურვალე კამათი გამოიწვია, ამასთანავე აქაც გამომჟღავნდა ერთიანი ფრონტი ფაშისტურ სახელმწიფოთა წარმომადგენლებსა და პლიმუტს შორის. გამოწვეულ იქნა საგარეო საქმეთა სამინისტროს იურიდიული კონსულტანტი ვილიამ მალკინი. ქვეკომისიამ საბოლოო ანგარიშით მიანდო მალკინს გადაიმუშაოს მერვე პარაგრაფის სათანადო ნაწილები დღევანდელი დისკუსიის შესაბამისად.

ამით სხდომა არსებითად დამთავრდა. შემდეგი სხდომა შესდგება ახალი წლის დამდეგშივე.

რესპუბლიკელთა ჯარები განაგრძობენ წინსვლას

(საკდესის ცნობების მიხედვით)

აღმოსავლეთის (არაგონიის) ფრონტი.

23 დეკემბერს დილით რესპუბლიკის ჯარებმა ხელთ იგდეს ტერუელში მეამბოხეთა უკანასკნელი ცენტრები, რომლებიც წინააღმდეგობას უწევდნენ მათ. 22 დეკემბერს საღამოს, მეამბოხეთა ტყვიამფრქვევების ასეული რესპუბლიკელთა მხარეზე გადმოვიდა, მეორე დღეს დილით კი მის მაგალითს მიჰბაძა ქვეითა ჯარის ასეულმა. ორივე ნაწილი შედიოდა მეამბოხეთა ტერუელის გარნიზონის შემადგენლობაში.

ტერუელის დაკავების შემდეგ რესპუბლიკელთა ჯარები განაგრძობენ შეტევას დასავლეთისაკენ, ალბარასინის მიმართულებით.

მეამბოხეთა თვითმფრინავებმა ყუმბარები დაუშინეს უბანს, სადაც მრავალი ქალი და ბავშვი იმყოფებოდა. საბედნიეროდ, მსხვერპლი უმნიშვნელოა.

ტერუელის ფარგლებს გარეთ არსებულ ფრონტის ხაზზე მეამბოხეებმა უშედეგოდ მიიტანეს იერიში რესპუბლიკელთა ჯარების მარჯვენა ფლანგზე. ტერუელთან წარმოებული ოპერაციის დროს ტყვედ წამოიყვანეს 1500-ზე მეტი მეამბოხე.

ცენტრალური ფრონტი.

ნავასერადის სექტორში რესპუბლიკელთა ნაწილებმა მიიტანეს რამდენიმე იერიში, რის შედეგადაც მეამბოხეებს ზარალი მოუვიდათ.

გვადალახარის ჩრდილოეთით მდებარე სექტორში მტრისათვის მოულოდნელი იერიშის დროს რესპუბლიკელებმა ხელთ იგდეს ფაშისტების დროშა.

რესპუბლიკელთა ავიაციის მოქმედება

რესპუბლიკელთა თვითმფრინავებმა ყუმბარები დაუშინეს მეამბოხეთა საომარი ტვირთით დატვირთულ ორ მატარებელს ქალაქ უესკასა და აიერბეს შორის, აგრეთვე სუერას რკინიგზის სადგურზე.

23 დეკემბერს ფაშისტთა სამმა თვითმფრინავმა ყუმბარები ჩამოჰყარა საგუნტოში, ვალენსიის პროვინციაში. მოკლულია 15 კაცი, დაჭრილია დაახლოებით 20 კაცი.

გენერალი მიახა — მადრიდის საპატიო შვილი

ბარსელონა, 24 დეკემბერი (საკდესი). გენერალ მიახას გადასცეს დოკუმენტი, რომელშიაც იგი გამოცხადებულია „მადრიდის საპატიო შვილად".

პრემიერი ნეგრინი და თავდაცვის მინისტრი პრიეტო რესპუბლიკის არმიის მიერ ტერუელის ოპერაციის გაშლის პერიოდში ფრონტზე იმყოფებოდნენ.

ტერუელის გამარჯვების გაკვეთილები

ხოზე დიასის სტატია.

ბარსელონა, 24 დეკემბერი. („პრავდის" სპეც. კორ.) (საკდესი). კომუნისტური გაზეთი „ფრენტე როხო" ბეჭდავს ხოზე დიასის სტატიას, მიძღვნილს რესპუბლიკელთა მიერ ტერუელის აღებისადმი.

„ტერუელის აღება მთელი ხალხის, მთელი ესპანეთის რესპუბლიკის გამარჯვებაა, — სწერს ხოზე დიასი. — ეს არის შედეგი ესპანელ ანტიფაშისტთა უდიდესი ერთიანობისა, რაც გავლენას ახდენს არმიის მდგომარეობაზე".

ამასთან ერთად ხოზე დიასი გაფრთხილებას იძლევა მიღწეული წარმატების გამო თვითდამშვიდების წინააღმდეგ. „გულუბრყვილოა ის, — სწერს იგი, — ვინც ფიქრობს, რომ ამ ერთი გამარჯვებით შეიძლება დამთავრდეს ჩვენი ძალღონის დაძაბვა".

„ფაშიზმს, — განაგრძობს ხოზე დიასი, — იარაღი არ დაუყრია. გერმანიისა და იტალიის ფაშიზმი ასე იოლად ფარს არ იტყვის ბრძოლაზე. იგი მოწადინებულია მონობის უღელი დაადგას ჩვენს ხალხს და ხელთ იგდოს ესპანეთში პოზიციები, რომლებიც მას საშუალებას მისცემდნენ დაიწყოს მსოფლიო ომი ევროპის დემოკრატიულ ხალხთა წინააღმდეგ. მხედველობაში მიიღებს რა ჩვენს ძალებს, მტერი დაიწყებს ახალი იერიშების მომზადებას და უფრო ყურადღებით და მტკიცედ მოაწყობს წინააღმდეგობას მომავლისათვის. აქედან აშკარაა, რომ რესპუბლიკურ ესპანეთში საჭიროა კიდევ უფრო განვამტკიცოთ და გავაფართოოთ ხალხის ანტიფაშისტური ერთიანობა სახალხო ფრონტში; უფრო სრულყოფილი გავხადოთ არმია და ბოლომდის მივიღოთ ზომები ზურგისა და არმიის გასაწმენდად, — ზომები, რამაც საშუალება მოგვცა შეგვექმნა მძლავრი იარაღი, რომელმაც გაიმარჯვა ტერუელში".

ხ. ფალკონი.

საომარი მოქმედება ჩინეთში

ცენტრალურ ფრონტზე

ხანკოუ, 24 დეკემბერი (საკდესი). უკანასკნელი ორი დღის განმავლობაში ცენტრალურ ფრონტზე, ძიანსუს პროვინციის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, ნანკინის ჩრდილოეთით, სიწყნარეა.

იაპონიის ჯარებმა 21 დეკემბერს დასწვეს ქალაქი ტანსი, ნანკინ-ხანჯოუს გზატკეცილზე.

ლონდონი, 23 დეკემბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ ხანჯოუს რაიონში საომარ მოქმედებასთან დაკავშირებით, იაპონიის ხელისუფალთ „ურჩიეს" უცხოეთის წარმომადგენლებს ჩინეთში გაიყვანონ თავისი ქვეშევრდომები ხანჯოუდან და მისი მიდამოებიდან.

ხანკოუ, 24 დეკემბერი (საკდესი). შანხაიში გრძელდება საომარი მასალისა და საჭურვლის მიღება იაპონიის ჯარებისათვის.

ჩრდილო ჩინეთში

ხანკოუ, 24 დკემბერი (საკდესი). 20 დეკემბერს ჩინეთის არმიის ნაწილებისა და პარტიზანული რაზმების შეერთებული მოქმედებით აღებულია ქალაქი დამინი (ხებეის პროვინციის სამხრეთ ნაწილში).

იაპონიის ჯარები უკან იხევენ ჯუანპინისა და ჩენანიუსაკენ.

შანდუნის პროვინციის დასავლეთ ნაწილში ჩინეთის ჯარებმა 21 დეკემბერს დაამარცხეს იაპონელები ქალაქ ჩაოჩენის (დამინის სამხრეთ-აღმოსავლეთით) მიდამოებში. იაპონელებს მოუკლეს 300 კაცი და დაუჭრეს 200.

ხანკოუ, 24 დეკემბერი (საკდესი). იაპონელების მიერ ლიუხოკოუში (ხენანის პროვინციის ჩრდილო ნაწილი) ქვანახშირის მაღაროების დაკავების შემდეგ ჩინელმა მაღაროელებმა შექმნეს პარტიზანული რაზმი 2 ათასი კაცისაგან, რომელიც ჩინეთის რეგულარულ არმიასთან მჭიდრო კონტაქტით მოქმედობს ამჟამად ტაიხანის მთიან რაიონში, ხენანისა და შანსის პროვინციების საზღვარზე. ფრონტებზე შანსის პროვინციაში უკანასკნელი 2 დღის განმავლობაში სიწყნარეა.

ავიაციის მოქმედება

ხანკოუ, 24 დეკემბერი (საკდესი). 21 დეკემბერს იაპონელთა 9 თვითმფრინავი თავს დაესხა ქალაქ ლანჯოუს (განსუს პროვინცია). მოკლულია 7 კაცი. იაპონელმა მფრინავებმა სცადეს ხელმეორედ გაჭრილიყვნენ ქალაქისაკენ, მაგრამ უკუქცეულ იქნენ. 22 დეკემბერს იაპონელთა 12 ყუმბარმზიდი და 8 ავიაგამანადგურებელი ცდილობდნენ ყუმბარები დაეშინათ ქალაქ ნანჩანისათვის (ძიანსის პროვინციის დედაქალაქი). ქალაქის მახლობლად იაპონელთა თვითმფრინავებს დახვდათ ჩინეთის ესკადრილია და ბრძოლის შემდეგ უკუაქცია ისინი. დადევნების დროს ჩინელთა ავიაციამ ჩამოაგდო იაპონელთა ორი თვითმფრინავი. ჩინელ მფრინავებს დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ ნანჩანში.

უცხოეთის ქრონიკა

— 20 დეკემბერს რუმინეთში მოხდა დეპუტატთა პალატის არჩევნები. არჩევნების წინასწარი შედეგები ჯერჯერობით შეჯამებულია 71 მაზრიდან ორმოცში.

— უნგრეთის გაზეთები იუწყებიან, რომ უნგრეთის სამხედრო მინისტრი გენერალი. რედერი იტალიაში გაემგზავრა. იტალიაში რედერი მიიღეს იტალიის მეფემ და კრონპრინცმა, მას აგრეთვე საუბარი ჰქონდა მუსოლინისთან, ჩიანოსთან და იტალიის არმიის მაღალი თანამდებობის მოხელეებთან.

— სასამართლოს ორგანოთა დადგენილებით ქალაქ მიკულინცში (ტარნოპოლის სავოევოდო) დაიხურა ხე-ტყის მრეწველობის მუშათა პროფკავშირის განყოფილება. პროფკავშირის განყოფილებას ბრალად ედება „ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობა, რომელიც საფრთხეს უქმნის საზოგადოებრივ წესრიგს".

შ. რუსთაველის იუბილე

მოძმე რესპუბლიკებში

რსფსრ განათლების სახალხო კომისარიატი შოთა რუსთაველის იუბილეს აღსანიშნავად აწყობს მასწავლებლებისა და მერვე და მეათე კლასების მოწაფეებისათვის საღამოებს, სადაც წაკითხული იქნება მოხსენება პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ, აგრეთვე ნაწყვეტები „ვეფხის-ტყაოსნიდან".

მოსკოვის და ლენინგრადის სასწავლებლებში გადაწყვეტილია დაწესდეს ლიტერატურული ფაკულტეტების საუკეთესო სტუდენტთათვის შოთა რუსთაველის სახელობის ხუთი სტიპენდია (თვითეული 300 მან. რაოდენობით). სტიპენდიები დაწესდება: ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტში (ორი), გერცენის სახელობის ლენინგრადის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, ისტორიის, ფილოსოფიისა და ლიტერატურის მოსკოვის ინსტიტუტში და მოსკოვის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში (თითო სტიპენდია).

* * *

კიევის ოპერისა და ბალეტის ორდენოსანი თეატრი შოთა რუსთაველის იუბილეს დღეებში დადგამს ზ. ფალიაშვილის ოპერას „დაისი". საიუბილეო ზეიმში მონაწილეობას მიიღებენ კიევის ყველა თეატრი და ფილარმონია.

უკრაინის სახელმწიფო გამომცემლობამ გამოუშვა „ვეფხის-ტყაოსნის" უკრაინული თარგმანის (თარგმანი ეკუთვნის პოეტ მიკოლა ბაჟანს) ძვირფასი გამოცემა. მიუხედავად მაღალი ფასისა—40 მანეთი — წიგნი სწრაფად იყიდება. გადაწყვეტილია პოემის მასობრივი ტირაჟით გამოცემა.

* * *

სომხეთის სახელგამის გამოცემით სომხურ ენაზე გამოვიდა გენიალური შოთა რუსთაველის უკვდავი პოემა „ვეფხის-ტყაოსანი". წიგნი საუცხოოდ არის გამოცემული და ილუსტრირებული. პოემა სთარგმნა ქართულისა და მთელი რიგი აღმოსავლური ენების მცოდნემ გევორქ ასატურმა, რომელიც ფართოდ არის ცნობილი იმით, რომ მან სთარგმნა ფირდოუსის „შაჰნამე".

სომეხი მკითხველი პირველად გაეცნობა რუსთაველის დიდი ქმნილების სრულ თარგმანს. პოემის ნაწყვეტის პირველი თარგმანი სომხურ ენაზე ეკუთვნის გასული საუკუნის სამოციან წლებს. უახლოეს დღეებში გამოვა ფურცელი რუსთაველის შესახებ, რომელიც შეიცავს პოეტის მოკლე დახასიათებას, შემდეგ „ვეფხის-ტყაოსნის" წინასიტყვაობას, პროფ. ვაგან ტერიანის მიერ შესანიშნავად თარგმნილს, და სომეხი კლასიკოსის ოვანეს თუმანიანის მიმართვას ქართველი პოეტებისადმი.

რა მოგვცა არქეოლოგიურმა გათხრებმა

შოთა რუსთაველის გენიალური პოემის „ვეფხის-ტყაოსნის" დაწერიდან 750 წლისთავის იუბილესათვის რესპუბლიკური გამოფენის მომწყობმა კომისიამ რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურის ისტორიის შესასწავლად ჩაატარა 4 არქეოლოგიური საველე კამპანია.

1202 წლის წყალსადენის შესასწავლად მოეწყო სხალტბა-შიო მღვიმის არხის გათხრა, გაითხარა დიდი ნაწილი ტრასისა და სათავე-ნაგებობა. გამოირკვა, რომ არსებობდა რამდენიმე ტრასი (ორი—სოფლისა და შიო მღვიმის მონასტრისა). ჩამოტანილია ტრასის სათავის გეგმა, ნახაზები, ფოტო-სურათები და თიხის მილები.

მოეწყო თამარის დროის ალაზნის სარწყავი არხის გათხრა. ეს არხი ჰიდრო-ტექნიკური თვალსაზრისით შედარებულ იქნა ახალ არხთან. გამოირკვა, რომ თამარის დროის ალაზნის სარწყავი არხი მაშინ დიდს კულტურულ სიმაღლეზე მდგარა.

წელს გაგრძელდა დმანისის ნაქალაქარის გათხრები, რაც შარშან დაიწყო. გათხრების დროს შესწავლილ იქნა ქალაქის მთელი რიგი შენობები, როგორიც არის ორი აბანო ქალაქის გარეუბანში, შუა-ციხე და რამდენიმე შენობა თვით ქალაქში.

მთელი ეს მასალა ჩამოტანილია და წარმოდგენილი იქნება გამოფენაზე ფოტო-სურათების, ნახაზების სახით და სხვ.

გარდა ამისა, აქვე შეგროვილ იქნა სხვადასხვა განძეულობა (ჭურჭლეულობა, მიმოქცევაში მყოფი ფულის კოლექცია და სხვ.).

მოკლე ხნის (ათი დღის) განმავლობაში სწარმოებდა რუსთაველის ეპოქის ერთერთი საუკეთესოდ დაცული შენობის—გეგუთის ციხე-სიმაგრის გათხრები. მიუხედავად ამისა, მაინც მოხერხდა ამ საერო შენობის გეგმის დიდი ნაწილის აღდგენა, რეკონსტრუქციის პროექტის შედგენა, ამ შენობის ისტორიის გამორკვევა და სხვ.

მომავალ წელს კვლავ გაგრძელდება გეგუთის გათხრები და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს გათხრები გამოავლინებს მეტად საინტერესო მასალებს რუსთაველის დროის საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიის შესწავლისათვის.



თბილისის მე-66 საბავშვო ბაღთან ჩამოყალიბდა ნორჩ ნატურალისტთა წრე. **სურათზე:** ნორჩი ნატურალისტები თავისი მტრედებით.
ფოტო კვირიკაშვილისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის თბილისის ფილიალის ახალ შენობასთან რუსთაველის პროსპექტზე.
ფოტო ო. ბუდემტკისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

საბჭოთა კავშირის გმირი ა. დ. ალექსეევი ზესტაფონში

24 დეკემბერს,—ზესტაფონში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის გმირი ამხ. **ა. დ. ალექსეევი.** ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა ორგანიზაციებმა და კოლმეურნეებმა ამხ. ალექსეევს გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს.

ამხანაგ ალექსეევმა დაათვალიერა ფეროშენადნობთა ქარხანა. ქარხანაში სახელოვანი გმირი მფრინავის პატივსაცემად გაიმართა ქარხნის მუშა - მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოს მუშაკთა სახელდახელო მიტინგი, რომელზედაც ქარხნის სტახანოველები მხურვალედ მიესალმნენ ძვირფას სტუმარს. საპასუხო სიტყვით გამოსულმა ამხ. ალექსეევმა აღნიშნა საბჭოთა ავიაციის უდიდესი მიღწევები, რომლებიც მოპოვებულია უკანასკნელ წლებში.

ამხ. ალექსეევმა ზესტაფონში დაჰყო 5 საათს, რის შემდეგ ქუთაისს გაემგზავრა. (**საქ. კორ.**).

„ლუქსის" მეორე მაღაზია

„გლავკოჟობუვსბიტი" თბილისში ხსნის ფეხსაცმლის ახალ დიდ მაღაზიას — „ლუქს", სადაც გამოიტანენ მხოლოდ მაღალხარისხოვან და უკანასკნელი ფასონების მიხედვით შეკერილ ფეხსაცმელს.

მაღაზია გაიხსნება პლეხანოვის პროსპექტზე № 76. მაღაზიას ექნება მამაკაცთა, ქალთა და ბავშვთა ფეხსაცმლის განყოფილებანი.

მაღაზიას გახსნიან იანვრის დამლევს.

სიხარულით ემზადებიან

კოჯრის საბავშვო ახალშენის დირექცია, კომკავშირისა და პიონერთა ორგანიზაცია დიდი ენტუზიაზმით ემზადებიან საზამთრო არდადეგების შესახვედრად და საახალწლო ნაძვისხის მოწყობისათვის.

საბავშვო ახალშენის დირექციამ ამ დღის წარმატებით ჩატარებისათვის გადასდო 3000 მანეთი. შეკვეთილია სამი ნაძვისხე: ერთი დაიდგმება მესამე საბავშვო ახალშენის ცენტრალურ კლუბში, მეორე —საბავშვო ბაღში და მესამე—მეექვსე საბავშვო სახლში.

31 დეკემბერს მოეწყობა საღამო, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ ახალშენთან არსებული ბავშვთა თვითმოქმედი წრეები.

დირექციამ შეიძინა საჩუქრები, რომლებიც დაურიგდებათ ბავშვებს საზეიმო საღამოს დამთავრების შემდეგ. საღამოზე მოწვეული არიან ახალშენიდან წარმოება-დაწესებულებებში გადაგზავნილი სტალინური ეპოქის ბედნიერი ახალგაზრდები.

ქ. გ.

ახალი წიგნები

საქ. კ. პ. (ბ)-ის ცკ-ის პარტგამომცემლობამ [illegible] ახალი წიგნები: [illegible] საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის მიმართვა ყველა ამომრჩეველს, მუშებს, მუშა ქალებს, გლეხებსა და გლეხ-ქალებს, წითელ არმიას, საბჭოთა ინტელიგენციას. ფასი 10 კაპ.; ს. მ. ბუდიონი—„მებრძოლი — მოქალაქე", ფასი 1 მან.; ვ. ი. ლენინი—სოციალიზმი და რელიგია; ი. ბ. სტალინი—სიტყვა ქალაქ მოსკოვის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე, 1937 წლის 11 დეკემბერს დიდ თეატრში; ვ. მ. მოლოტოვი — ოქტომბრის რევოლუციის ოცი წლისთავისათვის. მოხსენება 1937 წლის 6 ნოემბერს დიდ თეატრში გამართულ საზეიმო სხდომაზე.

მექრთამეები

ა.-კ. რკინიგზის სისხლის სამართლის მილიციამ დაამთავრა გამოძიება თბილისის სადგურის სატრანსპორტო-საექსპედიციო კანტორის უფროსი ექსპედიტორის ს. ე. მაისურაძის, სამედიცინო ინსტიტუტის საერთო საცხოვრებლის დირექტორის ნ. ს. ბაკურაძისა და სატრანსპორტო-საექსპედიციო კანტორის შოფერის ვ. გ. გოგიშვილის საქმეზე, რომელთაც ბრალად ედებათ მექრთამეობა.

ამას წინათ მედინსტიტუტს რკინიგზის სამხრეთის პარკიდან უნდა მიეღო 14 კუბ. საჟენი შეშა. შეშის გადაზიდვისათვის ბაკურაძემ მიმართა მაისურაძეს, მაგრამ მაისურაძემ უარი უთხრა. რამდენიმე დღის შემდეგ კი მისივე განკარგულებით შეშა გადაზიდულ იქნა, რისთვისაც მაისურაძემ მიიღო 1.200 მანეთი ქრთამი, ქრთამის მიცემის კვალის დაფარვაში ბაკურაძეს დაეხმარა მისი ნათესავი, სატრანსპორტო-საექსპედიციო კანტორის შოფერი გოგიშვილი, რომელმაც კანტორიდან აშოვა ანგარიშის ბლანკი.

მაისურაძის, გოგიშვილისა და ბაკურაძის საქმე გადაეცა სატრანსპორტო სასამართლოს.

შემთხვევები

— **ავარია.** 24 დეკემბერს დილით № 1 მარშრუტის ტრამვაის ვაგონიდან გადმოხტა 14 წლის ბიჭი ბ. ხუნდაძე. ამ დროს ტრამვაის უკან მიდიოდა ავტომანქანა № 24—02, რომელსაც მართავდა შოფერი ვ. ი. ბაკურაძე. ხუნდაძე რომ გადაერჩინა, შოფერმა ბაკურაძემ სწრაფად მოაბრუნა მანქანა მარჯვენა მხარეს, რის შედეგადაც ავტო ელექტრონის ბოძს დაეჯახა. მანქანა საგრძნობლად დაზიანდა. ბ. ხუნდაძე უვნებლად გადარჩა.

— **ავტომოჯირითეთა მსხვერპლნი.** 23 დეკემბერს საღამოს საქართველოს სამხედრო გზაზე, თბილისიდან 15 კილომეტრის დაშორებით, ავტომანქანა № 08—73, რომელსაც მართავდა მთვრალი შოფერი ა. გ. საფაროვი, დაეჯახა კოლმეურნეების ვ. ს. გელიაშვილისა და ა. ი. ტეზელიშვილის ურმებს (სოფ. ერკის მცხოვრებნი). დაჯახების დროს გელიაშვილი და ტეზელიშვილი მძიმედ დაშავდნენ. შოფერი შეიპყრეს, სწარმოებს გამოძიება.

პარტკალენდარი

26 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბ. ორგ. ორჯონიკიძის რაიკომის პარტკაბინეტში პარტკომების მდივნებისა, პარტორგებისა და მათი მოადგილეებისა, პროპაგანდისტებისა და აგიტატორებისათვის რუსულ ენაზე შესდგება პროფ. ხაჭაპურიძის მოხსენება თემაზე: „დეკაბრისტების აჯანყება".

○

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-თან არსებული პარტკონტროლის პარტკოლეგია საქართველოში სთხოვს სპირიდონ კაციას-ძე კოჩილავას სამი დღის ვადაში გამოცხადდეს პარტკოლეგიაში ამხ. კვეკვესკირთან (პირველი სართული, ოთახი № 4, ძერჟინსკის ქ. № 8).

○

საქ. კ. პ. (ბ) თბ. ორგ. კიროვის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 1502382, გაცემული იაკობ იაკობის-ძე რეშეტოვის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

○

დღეს, 26 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე, მე-109 სკოლის შენობაში (მე-4 სართული) შესდგება საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომის პროპსემინართა მორიგი მეცადინეობა.

ყველა პროპაგანდისტის დასწრება სავალდებულოა.

პ.-მგ. რედაქტორის მოვალეობის
დრ. აღმსრულებელი
კ. შეროზია

რუსთაველის სახ. ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი
1937—38 წ. სეზონი

26/XII	წარმოდგენა 58 ნაპერწკლიდან
27/XII	წარმოდგენა 59 ნაპერწკლიდან
28/XII	წარმოდგენა 60 ნაპერწკლიდან

სალარო ღიაა დღის 12 საათიდან.
დასაწყისი 8 საათზე.

თბილისის ზ. პ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი

26/XII	მუდმ. ადგ. ტალ. № 57 დაისი
27/XII	მუდმ. ადგ. ტალონი № 58 ქეთო და კოტე
28/XII	მუდმ. ადგ. ტალ. № 59 კარმენ

დასაწყისი საღ. 8 საათზე.

სახცირკი. ტელ. 3-11-44
დღეს, 26 დეკემბერს
უდიდესი ატრაქციონი
ლილი უტეზის მუსიკალურ-ექსცენტრული დასი
კინო-ჯაზი
დიდი პაროდიული წარმოდგენა. მონაწ. 30-ზედ კაცი. გარდა ამისა, ცირკის მთელი დასი და ახალი ნომრები.
დასაწყ. 8 ს. 30 წ.
სალარო 12-დან 2 ს. და 5 საათიდან.
30 დეკ. ორი წარმოდგენა დღისით.

დღეს საზკინმრეწვის თეატრებში

ოქტომბერი პლეხანოვის გამზ. № 135	დიდი ხმ. მხატვრ. ფილმი ლენინი ოქტომბერში ოქტომბ. დასაწყ. 6-40 კომკავშ. დასაწყ. 6 ს.
კომკავშირელი პლეხანოვის გამზ. № 91	
დამკვრელი პლეხანოვის გამზ. № 125	1) ხმოვანი მხატვრ. ფილმი ქაჯეთი. ეპიზოდი შოთა რუსთაველის პოემიდან „ვეფხის-ტყაოსანი". 2) ხმოვანი მულტიპლიკაცია გაიძვერა. 3) ხმოვანი კინო-ნარკვევი დღე ბათუმში დასაწყ. 6-30
რ. ლუქსემბ. სახ. ჯორჯიაშვილის ქ. № 8	
26 კომ. სახ. შაუმიანის მოედანი.	
სპარტაკი რუსთაველის გამზ. № 23	ახალი ხმოვანი ფილმი აყვავებული უკრაინა დასაწყისი 6-30
არსენა კომუნალური ქ. № 9	ხმოვანი ფილმი კარო დასაწყ. 6-30
ახალი ამბები	ხმოვანი კინო-ნარკვევი მოსკოვი დასაწ. 6-30

განსახკომის უმაღლეს სასწავლებელთათვის მოსამზადებელი
კურსები
ხსნის ახალ ჯგუფს.
პირობების გაგება ორჯონიკიძის ქ. № 49, მე-26 სკოლა, მეორე სართული. 17508

ა. დ. ქლენცი
შინაგანი სნეულებანი. სპეციალურად კუჭ-ნაწლავების სნეულებათა გამოკვლევა-მკურნალობა. მიღება ყოველდღე 7—8 ს. ოთხშაბათობით უფასოდ.
მისამართი: წყნეთის ქ. № 8 17278

თბილისის ქალაქის საბჭოს კომუნალური მეურნეობის სასტუმრო „პალასის" დასკვნითი ბალანსი 1937 წ. 1-ლი იანვრისათვის

აქტივი			პასივი		
№№ რიგ.	მუხლების დასახელება	ჯამი (მანეთებ.)	№№ რიგ.	მუხლების დასახელება	ჯამი (თანხა)
1	ძირითადი საშუალებანი	865.642	1	ფონდები	1.078.674
2	საშუალებანი ბრუნვაში	30.285	2	მიზნობრივი რეზერვები	1.329
3	ფულადი საშუალებანი	12.008	3	დაფინანსება ბიუჯეტიდან	72.000
4	საშუალებანი ანგარიშსწორებებში	65.100	4	ანგარიშსწორებანი	15.425
5	განყენებული საშუალებანი	237.732	5	დაგროვება საანგარიშო წლისა	103.339
	ბალანსი	1.210.767		ბალანსი	1.210.767

დაგროვება-დანაკარგების ანგარიში

1	სხვადასხვა დანაკარგები	14.933	1	შემოსავალი რეალიზაციით	116.910
2	დაგროვება საანგარიშო წლისა	103.339	2	სხვადასხვა შემოსავალი	1.362
	ბალანსი	118.272		ბალანსი	118..72

ბალანსი და დაგროვება-დანაკარგების ანგარიში დამტკიცებულია თბილისის საბჭოს ცენტრალური საბალანსო კომისიის მიერ.
დირექტორი **ოდიაშვილი** მთ. ბუხჰალტერი **ჯანელიძე** 1343

თბ. საბჭოს ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების გამსაღებელი კანტორის ბალანსი 1937 წლის 1-ლი იანვრისათვის (ათას მანეთებში)

აქტივი			პასივი		
№№ რიგ.	ანგარიშების დასახელება	თანხა	№№ რიგ.	ანგარიშების დასახელება	თანხა
1	ძირითადი საშუალებანი	149	1	საწესდებო ფონდი	44,7
2	მცირეფასიანი ინვენტარი	46,9	2	სპეცფონდები	1,8
3	მარაგი საქონ. და მ. ს.	144,4	3	რეზერვები	16,4
4	ფულადი საშუალებანი	57,8	4	ანგარიშსწორებანი	151,4
5	ანგარიშსწორებანი	99,4	5	საანგარიშო წლის დაგროვება	292,7
6	მომავალი პერიოდის ხარჯები	9,5			
	ბალანსი	507		ბალანსი	507

1936 წლის დანაკარგებისა და დაგროვების ანგარიში

1.	სხვადასხვა დანაკარგები	8,4	1.	დაგროვებანი საქონლის რეალიზაციით	274
2.	დაგროვების სალდო	292,7	2.	სხვა დაგროვებანი	27,1
	ბალანსი	301,1		ბალანსი	301.1

კანტორის უფროსი **ალლაძე.** კანტორის მთ. ბუხჰალტერი **მანიევი.**
ბალანსი და დანაკარგ-დაგროვების ანგარიში დამტკიცებულია თბ. საბჭოს პრეზიდიუმის ცენტრალური საბალანსო კომისიის მიერ 5/7—1937 წ. ოქმი № 6.
1753 ადგ. მრეწ. განყ. ფინსექტორის გამგე და მთ. ბუხჰალტერი **ჩიქოვანი.**

მისამართი: რედაქციის—თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34 ტელეფონები: სამდივნოსი: 3—'ა—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, სასოფლო სამეურნეოს — 3—73—40, მუშკორთა წერილების—3—73—24, პ. მგ. მორიგის—3—26—67, გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის—3—27—04, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის გამომცემლობის ამხ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი", თბილისი, კამოს ქ. № 68. მთავლიტის რწმუნებული Ц—15532